# ახალი განათლება

19-25.03.2020

№9 (883) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge


# #დარჩისახლში

*დღეს შექმნილ საგანგებო ვითარებაში, ეს არის მოწოდება ნომერი პირველი როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ყველა მოქალაქე ვალდებულია, დაიცვას ის. მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ სასწავლო დაწესებულებები, მათ შორის, რა თქმა უნდა სკოლებიც. ჩვენც შევცვალეთ გაზეთის ფორმატი და ჩვენს ხელმომწერებს, დროებით, ბეჭდური ვერსიის ნაცვლად, ელექტრონულ ვერსიას შევთავაზებთ. #დარჩითსახლში და იკითხეთ „ახალი განათლება", თვალი ადევნეთ, ასევე, ჩვენს ვებგვერდზე akhaliganatleba.ge და ფეისბუქგვერდზე ყოველდღიურად განახლებად ინფორმაციას. #დარჩისახლში ეს მოწოდება იმ განაჩენს ჰგავს, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება, იმედი ვიქონიოთ, რომ „სასჯელი" არ იქნება ძალიან ხანგრძლივი და მალე დავუბრუნდებით ცხოვრების ჩვეულ რიტმს.*




| | ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი |
|---|---|---|---|---|---|
| | I-II კლასი | IV კლასი | I-II კლასი | III კლასი | III-IV კლასი |
| 09:00 -09:15 | მათემატიკა I კლასი | ქართული | მათემატიკა II კლასი | ქართული | მე და საზოგადოება |
| 09:20 -09:35 | ქართული | მათემატიკა | ბუნება | მათემატიკა | სახვითი ხელოვნება |
| 09:40 -09:55 | სახვითი ხელოვნება | ბუნება | მუსიკა | ბუნება | მუსიკა |
| | V კლასი | VI კლასი | V კლასი | VI კლასი | ფიზიკის დრო |
| 10:00 -10:15 | ჩვენი საქართველო | ჩვენი საქართველო | ქართული | ქართული | ფიზიკა |
| 10:20 -10:35 | მათემატიკა | ბუნება | ბუნება | სახვითი ხელოვნება | ფიზიკა |
| 10:40 -10:55 | სახვითი ხელოვნება | მათემატიკა | მუსიკა | მუსიკა | ფიზიკა |
| | VII კლასი | VIII კლასი | VII კლასი | VIII კლასი | VII-VIII კლასი |
| 11:00 -11:15 | ქართული | ქართული | ისტორია | მათემატიკა | სამოქალაქო განათლება |
| 11:20 -11:35 | მათემატიკა | ისტორია | მათემატიკა | გეოგრაფია | სახვითი ხელოვნება |
| 11:40 -11:55 | ფიზიკის დრო | ქიმია | ბიოლოგია | ბიოლოგია | მუსიკა |
| | IX კლასი | X კლასი | IX კლასი | X კლასი | IX კლასი |
| 12:00 -12:15 | ფიზიკის დრო | ქართული | ისტორია | ისტორია | ბიოლოგია |
| 12:20 -12:35 | ქართული | ბიოლოგია | გეოგრაფია | მათემატიკა | სახვითი ხელოვნება |
| 12:40 -12:55 | ქიმია | გეოგრაფია | მათემატიკა | ქიმია | მუსიკა |
| | XI კლასი | აბიტურიენტის დრო | XI კლასი | აბიტურიენტის დრო | ინგლისურის დრო |
| 13:00 -13:15 | გეოგრაფია | ქართული | ისტორია | ქართული | ინგლისური I დონე |
| 13:20 -13:35 | ქართული | მათემატიკა | მათემატიკა | მათემატიკა | ინგლისური II დონე |
| 13:40 -13:55 | ქიმია | ისტორია | ბიოლოგია | ისტორია | ინგლისური III დონე |
| 14:00 -14:15 | ცვანციკას ონლაინ გაკვეთილები აბიტურიენტებისთვის | ცვანციკას ონლაინ გაკვეთილები აბიტურიენტებისთვის | ცვანციკას ონლაინ გაკვეთილები აბიტურიენტებისთვის | ცვანციკას ონლაინ გაკვეთილები აბიტურიენტებისთვის | ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისათვის: 14:00 -14:15 ქართული I დონე |
| 14:20 -15:00 | შემეცნებით-დოკუმენტური ფილმი „მუზეუმის საიდუმლოებები“ | შემეცნებით-დოკუმენტური ფილმი „მუზეუმის საიდუმლოებები“ | შემეცნებით-დოკუმენტური ფილმი „მუზეუმის საიდუმლოებები“ | შემეცნებით-დოკუმენტური ფილმი „მუზეუმის საიდუმლოებები“ | 14:20 -14:35 ქართული II დონე<br>14:40 -14:55 ქართული III დონე |

| | შაბათი | კვირა |
|---|---|---|
| 11:00 | შემეცნებით-დოკუმენტური ფილმი „სამი ქალაქის ამბავი“ | შემეცნებით-დოკუმენტური ფილმი „სამი ქალაქის ამბავი“ |
| 12:00 | ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილები | ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილები |
| 12:15 | ცეკვის გაკვეთილი | ცეკვის გაკვეთილი |
| 12:30 | ჭადრაკის გაკვეთილი | ჭადრაკის გაკვეთილი |
| 12:45 | მუსიკის გაკვეთილი დათო ევგენიძესთან ერთად | მუსიკის გაკვეთილი დათო ევგენიძესთან ერთად |
| 13:00 | შემეცნებით-დოკუმენტური ფილმი „ლურჯი პლანეტა“ | შემეცნებით-დოკუმენტური ფილმი „ლურჯი პლანეტა“ |
| 14:00 | დოკუმენტური ფილმი „ქართლის ცხოვრება მარიამ ლორთქიფანიძესთან ერთად“ | დოკუმენტური ფილმი „ქართლის ცხოვრება მარიამ ლორთქიფანიძესთან ერთად“ |
| 14:30 | ისტორიულ-დოკუმენტური ფილმი „ბერძნული მითები და სარწმუნო წყაროები“ | ისტორიულ-დოკუმენტური ფილმი „ბერძნული მითები და სარწმუნო წყაროები” |
| 15:00 | ბიოგრაფიული ფილმი „ანტუან სენტ ეგზიუპერი“ | ბიოგრაფიული ფილმი „კავაროტი – პოპულარული მომღერალი“ |

რეკომენდაციები მასწავლებლებს

# სკოლიდან ვირტუალურ სივრცეში გადასული სასკოლო პროცესები



**„თუ გვსურს არსებულ კრიზისულ სიტუაციასთან გამკლავება, ყველა ჩვენი მიდგომა მასწავლებლების მხარდაჭერასა და თანადგომაზე უნდა იყოს ორიენტირებული.“ – ეს არის ამონარიდი თამარ ჯაყელის მიმართვიდან, რომელიც მან ფეისბუქზე გამოაქვეყნა. გთავაზობთ მიმართვის სრულ ტექსტს და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მომზადებულ დოკუმენტს – „დისტანციური სწავლა-სწავლების პროცესის პირველადი რეკომენდაციები“.**

ძვირფასო კოლეგებო, სასკოლო საზოგადოების ძვირფასო ლიდერებო, მოგმართავთ თქვენ, როგორც „გემის კაპიტნებს“, ამ გასაჭირში რომ უნდა მართოთ სკოლიდან ვირტუალურ სივრცეში გადასული სასკოლო პროცესები.

პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ რეკომენდაციაში (იხ. ქვემოთ) მოცემული მითითება 20-წუთიანი გაკვეთილების შესახებ, როგორც ჩანს, არასწორად იქნა გაგებული: ზოგიერთმა ისე გაიგო, თითქოს 20-20 წუთი ცალკეულ საგნებში უნდა ჩატარდეს – ეს სრულიად დაუშვებელია. ამავე რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ „დისტანციური გაკვეთილების რაოდენობა, საორიენტაციოდ, **ჯამში**, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში ხუთ-ექვსს“ – ამ წინადადებაში მოცემული სიტყვა „ჯამში“ ყველა საგანს გულისხმობს. ამდენად, რეკომენდებულია, რომ დაწყებით საფეხურზე დისტანციურ სწავლებას, ყოველდღიურად, ჯამში, 20 წუთი დაეთმოს. ამას გარდა, ინიშნება საკონსულტაციო საათიც, როცა მოსწავლეს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია დახმარებისთვის მიმართოს მასწავლებელს (რეკომენდაციები იხილეთ ქვემოთ).

ძალიან კარგად გვესმის, რომ გვინდა სწავლების პროცესის მაქსიმალურად უზრუნველყოფა, მაგრამ სწავლების სასკოლო-საგაკვეთილო ფორმატის ამ ვითარებაში შენარჩუნება კიდევ უფრო მეტად გაამწვავებს სტრესულ მდგომარეობას, რომელშიც არიან მოზარდებიც და მათი ოჯახებიც. ეკრანებთან ხანგრძლივად და იძულებით ჯდომა მოზარდებს სიკეთეს ვერ მოუტანს, გარდა ამისა, ამგვარი მოთხოვნა უამრავ სხვადასხვა ტიპის პრობლემას უქმნის ოჯახებსაც (არ დაგვავიწყდეს, რომ ამ ეკრანით ოჯახურ სივრცეში ვიჭრებით). აღარაფერს ვამბობთ ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, რომელსაც ამგვარი მიდგომა კიდევ უფრო გააღრმავებს.

ყველაფერს თავისი დადებითი მხარე აქვს და ეს კრიზისული სიტუაციაც გვაიძულებს, შევცვალოთ ჩვენი წარმოდგენები განათლების მიღებულ ფორმებზე. გავიხსენოთ დიმიტრი უზნაძის შეგონება – „ცხოვრება ზრდის ადამიანს, და ამიტომ, როდესაც ნამდვილი აღზრდა გსურს, სკოლაში ეს ცხოვრება უნდა გადაიტანო და ნორჩი ადამიანი მისი საფეხურებით ატარო“. უარი ვთქვათ რუტინული სწავლა-სწავლების პროცესზე, ისედაც ყავლგასული რომ არის ამ საუკუნის მოზარდებისთვის. დავუკავშიროთ განათლება ცხორებისეულ კონტექსტებს, მოვიფიქროთ და მოზარდებს შევთავაზოთ საგანმანათლებლო გამოცდილების მომცემი ისეთ ტიპის დავალებები, რომლებიც იქნება საინტერესო გამოწვევის შემცველიც და მოზარდების შემეცნებითი და შემოქმედებითი ძალების განმავითარებელიც. ამ მხრივ თქვენგან საინტერესო ინციატივებს ველოდებით.

დაბოლოს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი მასწავლებლები ძალიან რთულ სიტუაციაში არიან. ახალ გამოწვევებზე პასუხის გაცემისა და საკუთარ თავში ახალი რესურსების პოვნა-ამოქმედებისათვის მათ თქვენგან დიდი მხარდაჭერა სჭირდებათ. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ კონტროლი და განსჯა არის მეთოდი, რომელმაც მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემებში სრული კრახი განიცადა. თუ გვსურს არსებულ კრიზისულ სიტუაციასთან გამკლავება, ყველა ჩვენი მიდგომა მასწავლებლების მხარდაჭერასა და თანადგომაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ლიდერობა რომ ამას გულისხმობს, დარწმუნებული ვართ, ეს ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ.

გისურვებთ ამ უჩვეულო ვითარებაში მოხვედრილი გემის წარმატებით მართვას!“

**თამარ ჯაყელი**

# დისტანციური სწავლა – სწავლების პროცესის პირველადი რეკომენდაციები

კორონავირუსის პრევენციის მიზნით პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით სკოლები დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდნენ, შესაბამისად გაჩნდა ბევრი კითხვა სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები.

## მთავარი ამოცანა

ამ პერიოდში განათლების სისტემისთვის პრიორიტეტული ამოცანაა მოსწავლესა და მასწავლებელს, მასწავლებელსა და მშობელს შორის ეფექტიანი პედაგოგიური ურთიერთობის შენარჩუნება, ცოდნათა გამეორება-განმტკიცება და მოსწავლეთა საგანმანათლებლო გამოცდილების შესაძლებლობის ფარგლებში გამდიდრება. მნიშვნელოვანია, რომ დისტანციური სწავლება განხორციელდეს არა სოციალური ქსელების, არამედ ისეთი საკომუნიკაციო-საგანმანათლებლო არხების გამოყენებით, რომლებითაც სრულად იქნება უზრუნველყოფილი მოსწავლეების უსაფრთხოება. დისტანციური კომუნიკაციის/სწავლების ფორმა საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავირიდოთ მოსწავლეთა სრული ან ხანგრძლივი მოწყვეტა სასწავლო საქმიანობისგან და მასწავლებლებისთვისა და მოსწავლეებისთვის შედარებით უმტკივნეულოდ განხორციელდეს სასწავლო პროცესის განახლება.

## დისტანციური გაკვეთილები

აღვნიშნავთ, რომ დისტანციური სწავლების ფორმატი სრულად ვერ ჩაანაცვლებს სწავლა-სწავლების სასკოლო ფორმატს (დღეში 4-6 საათიან განრიგს), მოსწავლეებს შორის კომუნიკაციას, საგაკვეთილო პროცესს, მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ინტერაქციას. დაწყებითი კლასის მოსწავლეებს სასურველია, 20-20 წუთიანი გაკვეთილები ჩაუტარდეთ დღის განმავლობაში მაქსიმუმ ორჯერ. ამგვარი დისტანციური გაკვეთილების რაოდენობა საორიენტაციოდ ჯამში არ უნდა აღემატებოდეს კვირაში ხუთ-ექვსს. რაც შეეხება უფროსკლასელებს, დისტანციური გაკვეთილების ხანგრძლივობა და რაოდენობა თვითონ გაკვეთილების სტრუქტურასა და ფორმატზეა დამოკიდებული. დისტანციური გაკვეთილების დროს, ძირითადად ყურადღება უნდა ეთმობოდეს სახლის პირობებში დავალებების შესრულებისას შეძენილი ცოდნა-გამოცდილებათა გაზიარებას. ამის უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს სათანადო დავალებები უნდა მიეცეთ. გთავაზობთ გარკვეულ რეკომენდააციებს:

• მნიშვნელოვანია, რომ დავალება მოტივაციას უმაღლებდეს მოსწავლეს. აუცილებელია სწავლის პროცესი დავუკავშიროთ მოსწავლის ცხოვრებას და მის გარშემო სამყაროს. ამ უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური პრინციპიდან გამომდინარე, უნდა დავფიქრდეთ, როგორ შეიძლება დავუკავშიროთ კონკრეტული საგნობრივი საკითხი ან საკითხები მოსწავლის გამოცდილების სფეროებს, მათთან დაკავშირებულ ცხოვრებისეულ კონტექსტს, რათა შევძლოთ მოსწავლისათვის მიმზიდველი დავალების პირობის შექმნა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: დაწყებით საფეხურზე, ბუნებისმეტყველების ისეთ ცნებაზე სამუშაოდ, როგორიცაა „სხეულის აგებულება და დანიშნულება“, შესაძლებელია მოსწავლეს ვთხოვოთ, აირჩიოს სახლის ნივთებიდან სამი-ოთხი და შეადგინოს კატალოგი – დახატოს ეს ნივთები და თითოეულს ქვემოთ მიუწეროს, რა ნაწილებისგან შედგება, რა ნივთიერებისგან არის დამზადებული. კატალოგის წარდგენისას მოსწავლეები იმსჯელებენ, რა მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ნივთის ფუნქციონირებისათვის/გამოყენებისათვის მის ნაწილებს და რატომ არის ისინი დამზადებული ამა თუ იმ ნივთიერებისგან. დარწმუნებული ვართ, თუ ამ მიმართულებით დაიწყებენ მასწავლებლები ფიქრს, ისინი უამრავ საინტერესო დავალებას შესთავაზებენ სახლებში მყოფ მოსწავლეებს ამ თუ იმ საგნობრივი ცნებისა თუ საკითხის დასამუშავებლად.

• როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში ვნახეთ, **დავალება კონკრეტული პროდუქტის შექმნას გულისხმობს. ამდენად, იგი შეესაბამება „კეთებით სწავლის“, ანუ თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნების უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომელსაც გამოხატავს ჩინური გამონათქვამი: „მითხარი და დამავიწყდება, მაჩვენე და დავიმახსოვრებ, გამაკეთებინე და გავიგებ“. ამ პრინციპის დაცვას მოითხოვდა დიმიტრი უზნაძეც, რომელიც ამბობდა: „რაც ჩვენთვის პრაქტიკულად არაა მოცემული, მისი გაცნობიერების შესახებ ზედმეტია ლაპარაკი“. აქედან გამომდინარე, დავალების პირობა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას.** გარდა ამისა, მოზარდებისათვის (ისევე როგორც ზრდასრულებისთვის) პროდუქტის შექმნა წარმოადგენს მიმზიდველ, მამოტივირებელ საქმიანობას, რომელიც მათ თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. სოციალიზაციისა და სოლიდარობის განცდის გასაძლიერებლად სასურველია, რომ მოსწავლეებს შევთავაზოთ საერთო, კოლექტიური პროდუქტების შექმნაც (მაგ., ამბის შეთხზვა კონკრეტულ თემაზე და გაფორმება). ცხადია, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია სათანადო ციფრული რესურსები.

• **როგორი და რა შინაარსის უნდა იყოს დისტანციური გაკვეთილები?** დისტანციური გაკვეთილები, უფრო ზუსტად კი, დისტანციური შეხვედრები უნდა ეძღვნებოდეს მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრების წარმოდგენას და ჩატარებულ სამუშაოთა გასიტყვებას. კერძოდ, ამ შეხვედრებზე მოსწავლეები აღწერენ და განმარტავენ, რა და როგორ გააკეთეს, რა დასკვნები გამოიტანეს, რა გაუძნელდათ ან გაუადვილდათ. მასწავლებელი ფასილიტაციას გაუწევს ნამუშევრების შესრულების დროს წამოჭრილ საგნობრივ საკითხებსა თუ პრობლემებზე მსჯელობას.

• ამის შესაბამისად, დისტანციური სწავლების პროცესი ამგვარ სახეს მიიღებს: მოსწავლეები ამა თუ იმ არხით მიიღებენ ისეთ დავალებას, რომელიც უკავშირდება მათი ცოდნა-გამოცდილების სფეროს და მოითხოვს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის გზით კონკრეტული საგნობრივი საკითხის დამუშავებას. წინასწარ დანიშნულ დროს, მასწავლებლის მიერ ორგანიზებული დისტანციური შეხვედრისას, მოსწავლეები ერთმანეთს გაუზიარებენ ნამუშევრებს, მასწავლებელი კი ხელს შეუწყობს პრაქტიკულ ცოდნათა გასიტყვებისა და საკითხთა გაგება-გაცნობიერების პროცესებს გეზის მიმცემი შეკითხვების დასმით.

• დისტანციური გაკვეთილების გარდა, როდესაც თანაკლასელები მასწავლებელთან ერთად მუშაობენ, სასურველია კვირაში ერთხელ ან ორჯერ დაინიშნოს საკონსულტაციო საათი. ამ პერიოდში მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, მასწავლებელს დაუსვან შეკითხვები ინდივიდუალური მუშაობის პროცესში წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით.

• მოცემულ პერიოდში დაუშვებელია ნიშნების წერა, განმსაზღვრელი შეფასებების ჩატარება. დისტანციური შეხვედრები ორიენტირებული უნდა იყოს სწავლისა და გაგების პროცესების მხარდაჭერაზე, მოსწავლეთა დახმარებასა და დაკვალიანებაზე; მათი მონდომების დაფასებაზე, ასევე სოციალიზაციისა და კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობაზე.

• პრიორიტეტული ადგილი უნდა მიენიჭოს ისეთ დავალებებს, რომლებიც არ მოითხოვს ეკრანებთან ხანგრძლივად ყოფნას – სახლებში „გამოკეტილი“ მოზარდები ისედაც ზედმეტ დროს ატარებენ ეკრანთან.

## მშობლებთან კომუნიკაცია

• ამ ისედაც სტრესულ სიტუაციაში მნიშვნელოვანია, რომ მშობლებს არ შევუქმნათ დამატებითი სირთულეები. ისინი უნდა დავამშვიდოთ და ავუხსნათ, რომ ფორსმაჟორულ სიტუაციაში მიმდინარე დისტანციური სწავლება არსებითად მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. არავის მოეთხოვება პასუხი შეუსრულებელი დავალების გამო – ვისაც როგორ შეუძლია, ისე ჩაერთვება ამ პროცესებში.

• მშობლის ვალდებულებად არ უნდა ვაქციოთ დავალების შესრულება. ამიტომ უნდა შევარჩიოთ და ნებისმიერი ხელმისაწვდომი გზით გავუგზავნოთ თუ მივაწოდოთ მოსწავლეებს იმ ტიპის შემეცნებითი-შემოქმედებითი დავალებები, რომელთა შესრულებასაც ისინი დამოუკიდებლად შეძლებენ სახლის პირობებში, აგრეთვე ისეთი დავალებები, რომლებიც მინიმალურ ახსნა-განმარტებებს საჭიროებს. გარდა ამისა, მოსწავლეებს უნდა მივცეთ ნათელი, მკაფიო დამხმარე მასალა და ინსტრუქციები, რათა მათ ადვილად გაიგონ, რას მოითხოვს დავალება. არ უნდა დავივიწყოთ ასევე დამხმარე საშუალებები (სანიმუშო მაგალითები, სახელმძღვანელოს კონკრეტული პარაგრაფიან გვერდი და სხვ.).

• ყურადღება უნდა მივაქციოთ მშობლების მიერ დასმულ კითხვებს, აუცილებლად უზრუნველვყოთ მათთან უკუკავშირი და ნათლად ავუხსნათ, როგორი ფორმით ვმუშაობთ მათ შვილებთან.

• შესაძლებელია მშობლებს, კვირის განმავლობაში შესასრულებელი დავალებების განრიგის შედგენაში, დავეხმაროთ.

• ასევე მშობლებს შევახსენოთ, რომ ცოდნათა განტკიცება-გამდიდრებას ხელს უწყობს საოჯახო აქტივობებიც და მივაწოდოთ მათ იდეები (საინტერესო და ყოველდღიურობაში ადვილად განსახორციელებელ იდეებს სთავაზობს მშობლებს Gpried-ის პროექტი. იხ.http://kargiskola.ge/parental/parental_resursi_mshoblebistvis.php)

**შენიშვნა:** სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტი ამზადებს რესურსების ნაკრებს, რომელშიც წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები, დავალებათა ნიმუშები და მეთოდიკური გზამკვლევი.

მოამზადა **ლალი თვალაბეიშვილმა**

როგორ გაგრძელდება კარიერული წინსვლა

# სპეცმასწავლებლის კარიერული წინსვლის მომავალი



**ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, განათლების სამინისტრომ, პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის და მასწავლებლობის მსურველებისთვის, ზაფხულში ორგანიზებული საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირებისთვის, რეგისტრაცია გამოაცხადდა. დაპირების მიუხედავად, იმედგაცრუებული დარჩნენ სპეციალური მასწავლებლები. ბუნებრივია, ამან კიდევ ერთხელ გამოიწვია მათი გულისწყრომა, სოციალურ ქსელში გაფიცვასაც კი აანონსებდნენ... ნაწილი, სავარაუდოდ, გადაუმოწმებელ ინფორმაციას ავრცელებდა იმის შესახებ, რომ მართალია, გამოცდა არ დაინიშნა, მაგრამ სპეციალური მასწავლებლის სახელფასო ზრდა იგეგმებაო... მოკლედ, გაურკვევლობაში მყოფი სპეცმასწავლებლების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩატარდება თუ არა წელს გამოცდა სპეცმასწავლებლებისთვის და იგეგმება თუ არა ხელფასების ზრდა? ამის გარკვევა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერთან სალომე ჩარკვიანთან ვცადეთ.**

**– ჩატარდება თუ არა ზაფხულში სპეცმასწავლებლებისთვის გამოცდა**

– გამოცდის დასანიშნად საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები. რადგან ასეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში ვართ, სავარაუდოდ, ალბათ, ეს მინისტრის ბრძანების დონეზე მოხდება. ბრძანების დამტკიცებისთანავე, ნაეკი შეძლებს დადოს პროგრამა, რომელიც, პრინციპში, უკვე დიდი ხანია, გამზადებული აქვს. როგორც კი პროგრამა დაიდება, სპეცმასწავლებლებისთვის ცალკე გამოცხადდება რეგისტრაციაც და დაორგანიზდება გამოცდა. სამწუხაროდ, ჯერ არ ვიცით გამოცდის კონკრეტული თარიღი, თუმცა, შემიძლია გითხრათ, როცა მასწავლებელთა კომპეტენციის დასადასტურებელი გამოცდები ჩატარდება, სპეცმასწავლებლის გამოცდაც იმ პერიოდში მოიაზრება.

**– სპეცმასწავლებლის საფეხურებრივი წინსვლა**

–სქემაზე მუშაობა დასრულებულია და დასამტკიცებლად არის გადაცემული, ასევე, უნდა დამტკიცდეს სტანდარტიც. ამ ეტაპზე, სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა სამსაფეხურიანია – პრაქტიკოსი, უფროსი და წამყვანი, ჯერჯერობით არ გვეყოლება მენტორი.

სქემის დამტკიცებისთანავე პრაქტიკოსის სტატუსი მიენიჭება სისტემაში მოქმედ ყველა სპეცმასწავლებელს, ხოლო უფროსი მასწავლებელი ავტომატურად გახდება სპეციალური განათლების მაგისტრის მქონე სპეცმასწავლებელი, დანარჩენი პრაქტიკოსები კი, სტატუსის ამაღლებას, გამოცდის ჩაბარებით შეძლებენ. სისტემაში სპეციალური განათლების მაგისტრის ხარისხის მქონე სპეცმასწავლებელი, ანუ ის ადამიანები, რომლებიც გამოცდის გარეშე, სქემის ამოქმედებისთანავე, გახდებიან უფროსი სპეციალური მასწავლებლები სისტემაში ძალიან ცოტაა. რაც შეეხება წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებას, წამყვანის გამოცდა მომავალ წელს იგეგმება და მას, თავისთავად, უფროსი მასწავლებლები ჩააბარებენ.

სპეცმასწავლებელს მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარება მოუწევს, ვინაიდან ის საგანს არ ასწავლის, შესაბამისად, იქნება სპეციალური განათლების გამოცდა – საგამოცდო ტესტები ნაეკმა ჩვენ მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე მოამზადა.

**– ხელფასის მატებაზე რას გვეტყვით**

– სამწუხაროდ, ახლა არ ვართ იმ ეტაპზე, რომ ხელფასები გაიზარდოს, კორონავირუსით გამოწვეულმა პრობლემებმა ძალიან ბევრ რამეს შეუქმნა პრობლემა და ბევრი რამ გადავადდა კიდეც. მათ შორის, სქემაც, რომელიც, რომ არა ეს პროცესები, უკვე დამტკიცებული იქნებოდა. რაც შეეხება სპეცმასწავლებლის ხელფასის მატებას, განვმარტავ, რომ ის აუცილებლად მიბმული იქნება სქემაზე, მომზადდება შესაბამისი ბრძანება სპეცმასწავლებლის დაფინანსების შესახებ. როგორც იცით, ახლა ყველა მასწავლებელს სტანდარტული ანაზღაურება აქვს, მინისტრის მოადგილის დაკვეთა კი, ასეთია: შეიცვალოს არსებული წესი და ანაზღაურება იყოს ინდივიდუალიზირებული. თუმცა, როგორც გითხარით ჯერ შეცვლილი არაფერი არ არის, ეს პროცესიც დაწყებული იყო, მაგრამ განვითარებული მოვლენების გამო, სამწუხაროდ, შეჩერდა. იმედია, ყველაფერი მალე დასრულდება და ამ მიმართულებით დაწყებული პროცესებიც დასრულდება, შესაბამისად, სქემის ამოქმედების შემდეგ, აღნიშნული ბრძანებაც გვექნება.

**– ვის ექნება სპეცმასწავლებლის გამოცდის ჩაბარების უფლება**

– დიახ, რასაკვირველია, გამოცდის ჩაბარების უფლება მიეცემათ მსურველებსაც, მაგრამ ექნებათ თუ არა განსხვავებული ბარიერი, ამაზე საბოლოო გადაწყვეტილება არ გვაქვს მიღებული. სავარაუდოდ, განსხვავებული ბარიერი არ დაწესდება, არც 1-4 კრედიტი იქნება, როგორც ახლა აქვთ მასწავლებლებს სასერტიფიკაციო გამოცდებზე. საკვალიფიკაციო მოთხოვნად კი, სპეცმასწავლებლობის მსურველებისთვის, ამჟამად მასწავლებლის კვალიფიკაციაა. თუმცა, ზოგადი განათლების შესახებ კანონში უნდა აისახოს ცვლილება, რაც საშუალებას მისცემს სხვა პროფესიის ადამიანებს, სურვილის შემთხვევაში, შემოვიდნენ პროფესიაში.

# ტრენინგების გავლას პრაქტიკოსი მასწავლებლები Microsoft Teams–ის პლატფორმაზე შეძლებენ



**წლებია, რაც, პერიოდულად, პრაქტიკოსი მასწავლებლის კარიერული წინსვლის დეტალები განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა. გამოცდიდან გამოცდამდე – ასეთია პრაქტიკოსების სტრატეგია, თუმცა, ამ პერიოდში, სტატუსის მომლოდინე მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებით ცდილობდნენ უფროსის საფეხურზე გადასასავლელად განკუთვნილი სავალდებულო 19 კრედიტქულის შევსებას. მაგრამ, გარკვეულმა ნაწილმა, სამწუხაროდ, ეს დღემდე ვერ შეძლო. სახელმწიფოც წინსვლის მსურველებს, ყოველ წელს, კარიერული წინსვლის გაიოლებისთვის, ახალ გზებს სთავაზობს. ასე ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ ფინიშამდე, რომელიც მილევადი სტატუსის დასასრულია. მაგრამ, ამ დასასრულს, უფრო სწორად, წინსვლას, ჯერ კიდევ 13 ათასამდე პრაქტიკოსი მასწავლებელი ელოდება. დაპირებისამებრ, ისინი სტატუსის ამაღლებას კიდევ ერთხელ შეძლებენ საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის დადასტურების გზით – ნაეკმა ტესტირების მსურველებისთვის რეგისტრაცია 30 მარტს დაიწყო და 30 აპრილის 18.00 საათამდე გასტანს. თუმცა, სახელმწიფო მათ ისევ არ ტოვებს მხოლოდ გამოცდის ამარა – უალტერნატივოდ და იმ პედაგოგებს, რომლებსაც გამოცდა აქვთ ჩაბარებული ან ზაფხულში ჩააბარებენ, დარჩენილი კრედიტქულების შევსებას 5-კრედიტიანი ტრენინგებით სთავაზობს. როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში აანონსებდნენ, 5-კრედიტიანი ტრენინგები თებერვლის ბოლოს უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ კორონავირუსით შექმნილი სიტუაციის გამო, ისე როგორც ბევრი რამ, ტრენინგების გამოცხადებაც გადავადდა.**

**როდის და რა ფორმატით ჩატარდება 5-კრედიტიანი ტრენინგები და ხომ არ იგეგმება რაიმე ცვლილება პრაქტიკოსის საფეხურებრივ წინსვლაში – ამ კითხვებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე მანანა რატიანი პასუხობს. ინტერვიუში ასევე გაიგებთ, როდის განახლდება გარე დაკვირვების პროცესი უფროსი მასწავლებლებისთვის.**

**– მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების ტესტირებისთვის რეგისტრაცია გამოცხადდა, რაც იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლები ზაფხულში ისევ შეძლებენ კარიერულ წინსვლას. რა გეგმები გაქვთ სხვა დამატებითი კრედიტების შევსების კუთხით – როდის გამოცხადდება 5-კრედიტიანი ტრენინგები ან რა იგეგმება ამ მიმართულებით, ხომ არ განიხილება ონლაინ ფორმატით ჩატარება?**

– ჩვენ ეს პერიოდი ინტენსიურად ვმუშაობდით, რომ ტრენინგები ონლაინ ფორმატში გადაგვეწყო და ჩვენი მასწავლებლებისთვის მიგვეცა საშუალება, არ შეეწყვიტათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, მათი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ფორმატში. ტრენინგების გავლა შესაძლებელი იქნება Microsoft Teams-ის პლატფორმაზე, რაც მათ გაუიოლებს მოსწავლეებთან ონლაინ კომუნიკაციას.

პრაქტიკოს მასწავლებლებს შეუძლიათ აირჩიონ, ზოგადი და საგნობრივი ტრენინგებიდან, მათთვის საჭირო მოდულები. ტრენინგი „დისტანციური სწავლება Microsoft რესურსების გამოყენებით“ არის სხვათა გავლის წინაპირობა. მასწავლებლები შეძლებენ გაიარონ „ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში“, „დიფერენცირებული სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები“, ასევე საგნობრივი მოდულები, რომლებიც, ერთობლივად, მასწავლებლებს არაუმეტეს 5 კრედიტქულას მოუტანს ან, საჭიროების მიხედვით, აარჩიონ მათგან სასურველი.

ტრენინგებზე რეგისტრაცია 1აპრილს გამოცხადდა 15აპრილამდე გაგრძელდება. და თუკი მასწავლებლებს აქვთ საბაზისო უნარები კომპიუტერის მოხმარების და ინტერნეტში ნავიგაციის, შეძლებენ ტრენინგების გავლას. ვადების გადაწევას არ განვიხილავთ, რადგან მოდულები უკვე მომზადებულია, მიმდინარეობს ჩვენი ტრენერების გპადამზადება.

**– ცვლილება ხომ არ იგეგმება მათ საფეხურებრივ წინსვლაში, თუნდაც რაიმე შეღავათის?**

– მიუხედავად იმისა, რომ ვირუსმა ჩვენი გეგმები არია, უმოკლეს ვადაში, არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, შევეცადეთ გადავწყობილიყავით. ჩვენმა თანამშრომლებმა ამისთვის ძალიან ბევრი იმუშავეს და გამოწვევებს უმოკლეს ვადებში გაართვეს თავი.

როგორც იცით, პრაქტიკოს მასწავლებლებს არაერთი შესაძლებლობა მიეცათ, მარტო წინა წელს კომპეტენციების დადასტურება და ამით სტატუსის ამაღლების საშუალება ორჯერ მიეცათ. რეგისტრაცია გამოცხადებულია. თუ ტრენინგების წარმატებით გავლის შედეგად მიღებული კრედიტქულებით, სხვა სავალდებულო და დამატებით აქტივობებში დაგროვილ კრედიტქულებთან ერთად, ჯამში, ვერ მოიპოვებენ სტატუსის ცვლილებისთვის საჭირო 19 კრედიტქულას, პრაქტიკოს მასწავლებლებს კიდევ ერთხელ მიეცემათ საშუალება, განმეორებით ჩააბარონ გამოცდა/გამოცდები, რომლებშიც ნაწილობრივი კრედიტქულები აქვთ მოპოვებული.

რადგან შეთავაზებები ძალაში რჩება, რაიმე დამატებით შეღავათებზე საუბარი არ იქნება.

**– როდის და რა ფორმით განხორციელდება გარე დაკვირვება? რამდენი უფროსი მასწავლებელია რეგისტრირებული და რამდენ ეტაპად განხორციელდება საბოლოო ჯამში?**

– გარე დაკვირვება შეჩერებულია, ველოდებით სწავლის აღდგენას. ამ სემესტრში გარე დაკვირვება 3721 უფროს მასწავლებელს უნდა გაევლო, მათგან, 1064-მა უკვე გაიარა. სწავლის აღდგენის შემდეგ გავაგრძელებთ პროცესს. შესაძლებელია, შემოდგომისთვის მათი ნაწილის გადადება დაგვჭირდეს. ამ ეტაპზე ზუსტ რაოდენობაზე, რამდენი გარე დაკვირვება გადაიდება, ვერ გიპასუხებთ, ეს სწავლის განახლების თარიღზეა დამოკიდებული.

**– როგორ აპირებთ ცენტრის მიერ დაგეგმილი სხვა ტრენინგების განხორციელებას?**

– ხვალიდან ვიწყებთ საგნობრივ „შეხვედრებს“ ანონსში მითითებულ თემატიკაზე. ის ჩვენი ცენტრის ფეისბუქის გვერდზეა გამოქვეყნებული. ჩვენი კონსულტანტები და მასწავლებლები წარუძღვებიან მასტერკლასს, ხოლო შემდეგ გასცემენ პასუხებს მასწავლებლებისგან შემოსულ კითხვებს. ყველა თემა პასუხობს მთავარ გამოწვევას, როგორ წარვმართოთ გაკვეთილები ონლაინ ფორმატში.

ჩვენ ისევ აქტიურად ვდგავართ ჩვენი მასწავლებლების გვერდით და მხარდაჭერას ვუცხადებთ პროფესიულ განვითარებაში. ჩვენი ინტერნეტგაზეთი ყოველდღიურად აქვეყნებს პრაქტიკულ სტატიებს ჩვენი მასწავლებლებისთვის. ვაგრძელებთ მუშაობას პროფესიული განათლების, სკოლამდელი განათლების, ინკლუზიური განათლების ტრენინგების ონლაინ ფორმატში გადაწყობაზე.

**– 2020 წელს ძალაში რჩება თუ არა პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, დროებითი ხელშეკრულების გაფორმება?**

– სექტემბრიდან იცით, რომ თუ მასწავლებელი სტატუსს არ გაიუმჯობესებს, მის ადგილზე გამოცხადდება ვაკანსია. გამონაკლისი იქნება არაქართულენოვანი სკოლები და სექტორები. მათთვის ალტერნატიული გზები იქნება.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

გამოცდილების გაზიარება

# იძულებითი დასვენების პერიოდში მიღებული დისტანციური სწავლების გამოცდილება




**ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ განათლების სისტემა დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა. საკლასო გაკვეთილები იზოლირებულმა გარემომ და დისტანციურმა სწავლებამ შეცვალა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობამ, გაუთვალისწინებელ ექსტრემალურ სიტუაციაში, კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა ის პრობლემები, რომლის წინაშეც დგას განათლების სისტემა. საყოველთაო ინტერნეტიზაციის არქონა, ტექნოლოგიებზე ხელმიუწვდომლობა, კომპიუტერული უნარ-ჩვევების არცოდნა... – ეს ის მცირედი ჩამონათვალია, რის გამოც დისტანციური სწავლების ახალ მოდელს საზოგადოების გარკვეული ნაწილი სკეპტიკურად უყურებს. მიუხედავად ყველაფრისა, პირველი ნაბიჯები უკვე იდგმება და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სასწავლო დაწესებულებებს პირველად რეკომენდაციებს უზიარებს. ერთ-ერთი რეკომენდაცია სწორედ MICROCOFT OFFICE 365-ის პროდუქტების საკომუნიკაციო არხებად გამოყენებაა. სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ (EMIS) თითოეულ სკოლას უკვე გაუგზავნა სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მომხმარებლის პროფილები (USER) და ერთჯერადი პაროლები, რომლის მეშვეობითაც შეეძლებათ OFFICE 365-ის შემდეგ პროგრამებში ავტორიზება (შესვლა): EMAIL, MICROSOFT TEAMS, CLASS NOTEBOOK, POWERPOINT, FORMS, ONEDRIVE და ა.შ. ასევე, მიმდინარეობს მუშაობა, საქართველოს საჯარო სკოლების ყველა კლასისთვის, პროგრამა TEAMS-ში ვირტუალური საკლასო ოთახების შექმნაზე. აღნიშნული საკლასო ოთახების ასახვა სისტემაში ეტაპობრივად მოხდება, მას შემდეგ, რაც მონაცემები სინქრონიზდება MICROSOFT-ის ღრუბლოვან სისტემაში. ყველა ზემოაღნიშნული ინსტრუქცია ასევე განთავსებულია საიტზე: H ინსტრუქციების განყოფილებაში. ჯგუფის მიზანია, სასკოლო საზოგადოებას გაუმარტივოს ინფორმაციის გაცვლის პროცესი, ასევე, თავიდან ავირიდოთ დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელება.**

**თეორიული რეკომენდაციები, როგორ განხორციელდეს პრაქტიკულად ქართული საგანმანათლებლო სისტემის დისტანციურ სწავლებაში ჩართვა – გვესაუბრება და მრავალწლიან გამოცდილებას გვიზიარებს, სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, ტექნოლოგიების ექსპერტი ნადია დაბრუნდაშვილი.**

– წლებია, რაც ჩართული ვარ Microsoft-ის eTwinning-ის საგანმანათლებლო პროგრამებში, ჩემს მოსწავლეებთან ერთად განხორციელებული მაქვს საკმაოდ ბევრი წარმატებული პროექტი და მათგან არაერთი გამარჯვებული პროექტი უცხოეთშიც მაქვს კონფერენციებზე წარდგენილი. მაქვს გამოცდილება და საკმაოდ ბევრი ელექტრონული რესურსი დისტანციური სწავლებისათვის, არც სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირებისა და გამოყენების გამოცდილება მაკლია და, მიუხედავად ამისა, დისტანციურ სწავლებაზე სრულად გადასვლა ურთულესი პროცესია. ახლა ჩვენ ყველანი – მასწავლებლებიც, მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც დიდი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. ერთია შენ რამდენად კარგად ფლობ და იყენებ ტექნოლოგიებს და მეორეა, როგორ იყენებს მოსწავლე, რამდენად უზრუნველყოფილია ყველა იმ რესურსით, რაც დისტანციური სწავლების დროს სჭირდება.

შესაძლოა, ზოგიერთი ფიქრობს, რომ სკოლები დროებით დახურულია და ამ დროს მასწავლებლები ისვენებენ, გეტყვით – თუ წინათ მთელი დღე ვმუშაობდი, ახლა ჩემი სამუშაო გაორმაგდა და ასე მხოლოდ მე არ ვარ, ასე მუშაობს ბევრი ჩემი ნაცნობი მასწავლებელი. ყოველდღიურად ვქმნით ელექტრონულ რესურსებს, ვიდეოგაკვეთილებს, ვიდეოინსტრუქციებს ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ, შესაძლებლობის ფარგლებში ვახორციელებთ დისტანციურ სწავლებას და ა.შ.

ჩართული ვარ „ახალი სკოლის მოდელის“ პროგრამაში, როგორც ტექნოლოგიების ქოუჩი. ერთი წლის წინ დაწყებულმა ამ პროექტმა დისტანციური სწავლებისათვის ნიადაგი ასე თუ ისე შეამზადა. იმ სკოლებში, სადაც ტექნოლოგიების ტრენინგებს ვატარებდით, „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართული მასწავლებლები, სხვებთან შედარებით, ბევრად უკეთ არიან დაუფლებულები Microsoft-ის ინსტრუმენტების გამოყენებას, ქმნიან ვიდეოგაკვეთილებს და შეუძლიათ მათი მოსწავლეებთან გამოყენება როგორც სინქრონული, ასევე ასინქრონული სწავლებისას.

**– რამდენად ახერხებენ მასწავლებლები ტექნოლოგიების დაუფლებას და ონლაინ სწავლების დაწყებას?**

– აშკარაა, რომ როცა რეალურად დაგვჭირდა ონლაინ სწავლება, მასწავლებლების დიდმა ნაწილმა სასწრაფოდ დაიწყეს Teams, Zoom, Google Classroom შესწავლა და პარალელურად, იყენებენ ყველაზე მარტივს – Facebook chat-ს და ჯგუფებს, რაც მათთვის უფრო ნაცნობი და მოსახერხებელია. ნამდვილად აღსანიშნავია მასწავლებელთა მონდომება ტექნოლოგიების სასწრაფოდ დაუფლებისათვის ონლაინ სწავლების დასაწყებად. ამ რთულ ვითარებაში კარგად დავინახეთ ტექნოლოგიების მნიშვნელობა, რადგან ბევრი ადამიანისათვის სახლში გამოკეტვის ეს პერიოდი, ფაქტობრივად, ტექნოლოგიების უკეთ შესწავლის, დაუფლების და გამოყენების შესაძლებლობად გადაიქცა.

არ გამოვრიცხავ, უახლოეს მომავალში, როცა საკლასო ოთახებს და ჩვეულ სასწავლო პროცესს დავუბრუნდებით, სკოლებში დაინერგოს პრაქტიკა, რომ გაცდენილი გაკვეთილების აღდგენა ონლაინ გაკვეთილებით იყოს შესაძლებელი. დღეისათვის დისტანციური სწავლების პროცესი საკმაოდ ქაოტურია და ეს არცაა გასაკვირი, რადგან უამრავი პრობლემა ახლავს მას, პირველ რიგში, ტექნიკური უზრუნველყოფა, ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს არ აქვს კომპიუტერი, უფრო მეტიც, ზოგიერთ ადგილას ინტერნეტის მიწოდების პრობლემაა და მხოლოდ ტექნიკის ქონა ვერ გადაწყვეტს პრობლემას, ინტერნეტი რომც იყოს, ფასიანი ინტერნეტის შეძენის საშუალება ყველას არ აქვს.

**– არსებობს თუ არა საგნობრივი რესურსების ერთიანი ბაზა, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება და გაუმარტივებს დისტანციური სწავლების პროცესს?**

– მასწავლებელს ინტერნეტში საძიებო სისტემით არ უნდა სჭირდებოდეს რესურსების ძებნა, ერთი რომელიმე პორტალიდან უნდა შეეძლოს კონკრეტულ საგანში, თემატიკით დალაგებული, რესურსების გამოყენება. თუმცა, დღემდე რატომღაც ვერ მოხერხდა ეს. გასაგებია, რომ სასურველია ყველაფერი ხარისხიანი, მაგრამ სულ არარაობას ხომ აჯობებდა, ახლა რომ საგნობრივი რესურსების საერთო ბაზა გვქონოდა, მით უმეტეს, როცა ეს ყველაფერი უკვე შექმნილი გვაქვს. უამრავი მასწავლებელი მოხალისეობრივად ქმნის საკმაოდ ბევრ და ძალიან კარგ რესურსს სხვადასხვა ინსტრუმენტებით და ეს ყველაფერი გაფანტულია ინტერნეტში. საჭიროა მხოლოდ მათი თავმოყრა და ორგანიზება, უნდა შეიქმნას ერთი საიტი, თემატურად დალაგდეს ჩანართები და მათში მასწავლებლები ჩაალაგებენ მათ მიერ მომზადებულ რესურსებს. ასე შეიქმნება საუკეთესო ელექტრონული ბიბლიოთეკა და რესურსების არარსებობის პრობლემაც უმარტივესად გადაიჭრება. მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი გამოიყენებს მათგან საუკეთესოს და, მოხმარების რაოდენობების მიხედვით, ბუნებრივი გადარჩევაც თავისთავად მოხდება.

ძალიან კარგი იქნება, თუ გამომცემლობები რაიმე ფორმით საჯაროს გახდიან სასწავლო წიგნების ონლაინ ვერსიებს, რათა მუშაობა უფრო გაუმარტივდეს მასწავლებლებს. მესმის რომ ეს მათი საკუთრებაა და მათი ნებაა, გაასაჯაროებენ თუ არა ამ წიგნებს, მაგრამ ახლა ის პერიოდია, როცა ყველანი ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, როგორც შეგვიძლია.

აღსანიშნავია, „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართული ტექნოლოგიების ქოუჩების დიდი შრომა, შექმნილია მოხალისეთა ჯგუფი, რომლებიც რაიონების მიხედვით, დისტანციურად, ეხმარებიან მასწავლებლებს Microsoft ინსტრუმენტების დაუფლებაში, პასუხობენ შეკითხვებზე, უგზავნიან რესურსებს, ქმნიან ვიდეოგაიდებს და ვიდეოინსტრუქციებს, ატარებენ ონლაინ შეხვედრებს და ა.შ.

**– დამეთანხმებით, ალბათ, რომ ბევრი ადამიანი სკეპტიკურადაა განწყობილი დისტანციური სწავლებისჱმიმართ, როგორ ფიქრობთ, რატომ?**

– მათი განწყობა სრულიად გასაგებია, ჩვენ კი არა, ზესახელმწიფოებს შეექმნათ პრობლემები ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ მათ სასწავლო პლატფორმებიც მზად ჰქონდათ და რესურსებიც ბლომად აქვთ თავმოყრილი, მაგრამ ძალიან რთულია მთელი სისტემის ონლაინ რეჟიმზე გადაყვანა. ამიტომაც, არავინ ითხოვს ამ პროცესის მკაცრ რეგულირებას და კონტროლს, მხოლოდ რეკომენდაციების დონეზეა თხოვნა, რომ მოსწავლეებმა თავი მიტოვებულად არ იგრძნონ და მასწავლებლებისგან მინიმალური დავალებები მაინც მიიღონ. ახალი მასალის სწავლა საკმაოდ ძნელია, მაგრამ იმდენს უნდა ვეცადოთ, რომ იძულებითი სახლში ყოფნის პერიოდში ადრე შესწავლილი მასალა მაინც არ დაივიწყონ ბავშვებმა. თუ მასწავლებლები ამას მოვახერხებთ, ძალიან კარგი იქნება.

**– კარგი იქნება, თქვენს პირად გამოცდილებას კოლეგებს უფრო დეტალურად თუ გაუზიარებთ**

– დისტანციური სწავლებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ როგორც სინქრონული, ასევე ასინქრონული სწავლების მოდელები. ეს რთული პერიოდი, სანამ სიტუაცია დალაგდება შეიძლება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები დარეგისტრირდნენ და კარგად გავერკვეთ Microsoft Teams-ში მუშაობის ნიუანსებში, კარგი იქნება, მოსწავლეებს, პერიოდულად, მივაწოდოთ სასწავლო რესურსები, სახალისო ტესტები, სასარგებლო ლიტერატურა იმისათვის, რომ, მინიმუმ, შესწავლილი მასალა არ დაავიწყდეთ. ამისათვის მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა სოციალური ქსელი, პლატფორმა, პორტალი, ბლოგი თუ ინსტრუმენტი, როგორიცაა, მაგალითად: Microsoft Onenote, Padlet.com, learningapps.org და ა.შ.

სინქრონული სწავლებისათვის შეუძლიათ გამოიყენონ Microsoft Teams, Zoom, Google Classroom, Skype for business, Google Hangouts პროგრამები; ბევრი მასწავლებელი იყენებს ფეისბუქის ჩათს, დასაწყისისთვის, რა თქმა უნდა, ესეც მისაღებია, თუმცა ხარისხიანი ონლაინ გაკვეთილის ჩატარების საშუალებას არ იძლევა.

Microsoft Teams მორგებულია მოსწავლისა და მასწავლებლის საჭიროებებს და მისი საშუალებით შესაძლებელია როგორც სინქრონული, ასევე ასინქრონული სწავლების განხორციელება, აქ შეიძლება ონლაინ გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება, დავალებების შექმნა ან წინასწარ შექმნილი დავალებების გადაგზავნა მოსწავლეებთან, შემდეგ კი შესრულებულ დავალებებზე, ინდივიდუალურად, უკუკავშირისა და შეფასებების მიწოდება.

Teams-ში შეიძლება თავი მოვუყაროთ ყველანაირ სასწავლო რესურსს, შესაძლებელია საჭირო აპლიკაციების ჩაშენება და მათზე მუშაობა. Microsoft Teams უზრუნველყოფილია Microsoft-ის ყველა საჭირო ინსტრუმენტით, მათ შორის თეთრი დაფით – Microsoft Whiteboard და Microsoft Onenote-ით, რომელიც შესაძლებელია თითოეული მოსწავლისათვის, საგნისთვის თუ პროექტისთვის ცალ-ცალკე შექმნათ და ამუშაოთ მოსწავლეები როგორც ინდივიდუალურ სივრცეში, ასევე კოლაბორაციულ რეჟიმში.

აღსანიშნავია, რომ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა – Emis ძალიან ოპერატიულად და აქტიურად ახორციელებს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა მასწავლებლებს გაუმარტივდეთ Teams-ში მუშაობა. თითოეულ მასწავლებელს Teams ჯგუფებში გამოუჩნდა მათი საგნობრივი კლასები თავისი მოსწავლეებით, რომელთა დარეგისტრირება მოხდება ან თავად მოსწავლის, ან კლასის ხელმძღვანელის მიერ და, რაიმე პრობლემის შემთხვევაში, მათ დახმარების მიღება შეეძლებათ რაიონების დისტანციური მხარდამჭერი ჯგუფებისგან.

„ახალი სკოლის მოდელის“ ტექნოლოგიების ქოუჩების მიერ შეიქმნა და ახლაც ყოველდღიურად იქმნება ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენების უამრავი საჭირო გზამკვლევი თუ ვიდეოინსტრუქცია, რომლებიც დევს გვერდზე – emis.mes.gov.ge, ასევე, ფართოდაა გავრცელებული სოციალურ ქსელებში და ხელმისაწვდომია ყველასთვის.

**– რომელი პლატფორმის და ინსტრუმენტის გამოყენებას ურჩევთ პედაგოგებს?**

– პირადად მე, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გაკვეთილების თუ ტრენინგებისთვის, სხვადასხვა პლატფორმას და ინსტრუმენტს ვიყენებ. მასწავლებლებთან ტრენინგებისთვის სრულად გადავედი Teams-ის შეხვედრებზე, ხოლო მოსწავლეებთან ჯერ კიდევ არის პრობლემები – ტექნიკის, ინტერნეტის, დარეგისტრირების, დროის, ჩართვის გაძნელების და ა.შ.

Microsoft Team-ის ინსტრუმენტთან ერთად, ძალიან კარგად მუშაობს Zoom პროგრამაც, რომელიც Covid-19-თან დაკავშირებით უფასო გახდა. მნიშვნელოვანია ამ ინსტრუმენტებში ჩაშენებული თეთრი დაფის გამოყენება, მოსწავლეებთან ონლაინ გაკვეთლებზე Whiteboard-თეთრი დაფის გამოყენებისას ძალიან მეხმარება Microsoft Georgia-ს მიერ წლების წინ ნაჩუქარი გრაფიკული ტაბლეტი. მისი საშუალებით უპრობლემოდ შემიძლია მოსწავლეებისათვის ნებისმიერ გეომეტრიული ამოცანის თუ დიდი ალგებრული გამოსახულებების ჩვენება და განხილვა.

თეთრი დაფის გამოყენებისას, დაფას რამდენიმე მოსწავლეს ვუნაწილებ, მაგალითად 4-ს, ვწერ მაგალითს ან ამოცანას დაფის ერთ მხარეს და ყველა მოსწავლე თავის რვეულში მუშაობს დამოუკიდებლად, შერჩეული 4 მოსწავლე დაფის მის კუთვნილ ნაწილში წერს ამოხსნას ან პასუხებს, შემდეგ სხვები ამოწმებენ მათ ნამუშევრებს და, შეცდომების შემთხვევაში, ხსნიან და ასწორებენ, პარალელურად, სხვა მოსწავლეები თვალს ადევნებენ პროცესს და სვამენ კითხვებს.

შეიძლება ასეთი აქტივობის განხორციელებაც – მოსწავლეები, ერთმანეთის კუთვნილ არეში, განვლილი ან ახალი მასალიდან უწერენ ერთმანეთს დავალებებს, შემდეგ კი შესრულებულ დავალებებს უმოწმებენ და კომენტარებს უწერენ. ასეთი აქტივობები ძალიან სახალისოა, მოსწავლეთა ჩართულობა მაღალია და, რაც მთავარია, მოსწავლეებსაც მოსწონთ. თუმცა ცუდია, რომ ყველა მოსწავლის ჩართვა პრობლემურია ზემოთ აღნიშნული და კიდევ სხვა მიზეზების გამო.

**– რამდენწუთიანი უნდა იყოს ონლაინ გაკვეთილები?**

– მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე, პროცესის მკაცრი რეგულირება და მოთხოვნა დღის წესრიგში არ დგას. თუმცა, როგორც

## გამოცდილების გაზიარება

კოლეგებისგან გავიგე, ზოგიერთ სკოლაში 45-წუთიანი ონლაინ გაკვეთილების ცხრილიც გაწერეს უკვე, რაც არ მიმაჩნია სწორ გადაწყვეტილებად, საწყის ეტაპზე, როცა ინსტრუმენტების გაცნობა მიმდინარეობს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია შეხვედრა გახანგრძლივდეს თუნდაც იმის გამო, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილისთვის შეხვედრაში ჩართვაც კი პრობლემურია. მას შემდეგ, რაც კლასი შედგება და მასწავლებლები გაკვეთილების ჩატარებას სისტემატურ სახეს შესძენენ, მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილების ხანგრძლივობა შეზღუდონ, რადგან თუ წარმოვიდგენთ, რომ მოსაწავლეს, დღეში, 45 წუთის ხანგრძლივობის 6 online გაკვეთილი უტარდება, შემდეგ მიცემული დავალებების შესრულებაც კომპიუტერთან მოუწევს, გამოვა, რომ მან მთელი დღე კომპიუტერთან უნდა გაატაროს, რაც მავნებელი იქნება მისი ჯანმრთელობისთვის. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, დავიცვათ ზომიერება როგორც გაკვეთილების ხანგრძლივობაში, ასევე მიცემული დავალებების მოცულობაშიც.

როგორც ვიცით, ჯერჯერობით, დისტანციური სწავლება მხოლოდ რეკომენდაციების დონეზეა. ვფიქრობ, ამ პერიოდს მასწავლებლები კარგად გამოიყენებენ პროფესიული განვითარებისათვის, სხვების გამოცდილების გაზიარებისათვის და დაეუფლებიან დისტანციური სწავლების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. სოციალურ ქსელებში ვხედავთ, რომ ბევრმა მასწავლებელმა უკვე საკმაოდ კარგად დაიწყო მათი პრაქტიკაში დანერგვა და გამოყენება, რაც გასახარია, თუმცა ონლაინ გაკვეთილების სურათების და ვიდეოების გაზიარების დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოვერიდოთ მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გასაჯაროებას.

**– რამდენად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა დისტანციურ სწავლებაში?**

– მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა დისტანციური სწავლებისას უმნიშვნელოვანესია. მათ ეძლევათ საშუალება დააკვირდნენ და ჩაერთონ შვილების სასწავლო პროცესში. ამ მხრივ, ონლაინ გაკვეთილები ძალიან საპასუხისმგებლოა მასწავლებლისთვის, საჭიროა მეტი სახალისო აქტივობა, ახლებური მეთოდები თუ საინტერესო ინიციატივები. ჩვენ შეგვიძლია ეს მომენტიც დადებითი მიმართულებით გამოვიყენოთ, მშობელი უკვე თავად ხდება პროცესის მონაწილე და პასუხისმგებლობას იღებს შვილის მიერ დავალებების კარგად შესრულებაზე.

**– ქალბატონო ნადია, ამ ეტაპზე, ყველაზე მეტად რა არის საჭირო იმისათვის, რომ აქტიურად დაიწყოს დისტანციური სწავლება და ხარისხიანად განხორციელდეს?**

– მინდა ვთხოვო მათ, ვისაც ეს ეხება:

– გაასაჯაროვეთ ონლაინ სასწავლო ლიტერატურა, მათ შორის, სასკოლო წიგნებზე წვდომა.

– მოგვეცით მასწავლებლებს და მოსწავლეებს თუნდაც ლიმიტირებული უფასო ინტერნეტი.

– უახლოეს მომავალში შექმენით პლატფორმა, სადაც განთავსდება საგნობრივი, თემატურად დალაგებული ელექტრონული რესურსები, რომელთა გამოყენებასაც მასწავლებლები შეძლებენ.

ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას, ამ რთული პერიოდის სწრაფად და უდანაკარგოდ გადავლას და ვისურვებ, რომ რაც შეიძლება მალე დაიწყოს ჩვეული სასწავლო პროცესი და იძულებითი დასვენების პერიოდში მიღებული დისტანციური სწავლების გამოცდილება გამოვიყენოთ, როგორც ალტერნატიული და არა აუცილებელი სწავლების მეთოდი.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

## დაიჯესტი

# აკადემიური წელი არ გამოცხადდება, ერთიანი ეროვნული გამოცდების დრო და ფორმატი უცვლელი დარჩება

კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 6 აპრილის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ განცხადა, რომ მნიშვნელოვანია, იქ, სადაც გვაქვს წარმატებები, ეს წარმატებები დავაფიქსიროთ. ასეთ წარმატებად კი, დისტანციური სწავლება დაასახელა. *„OECD-მ წარმოადგინა ანგარიში, სადაც დისტანციური განათლების მოდელი, რომელიც საქართველოში იყო დანერგილი ბოლო ერთი თვის განმავლობაში, შეფასებულია ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულად მსოფლიოში. ამისთვის მადლობა უნდა გადავუხადოთ განათლების სამინისტროს. საერთოდ, ხაზგასმით გამოყოფილი იყო „ტელესკოლის“ პროექტი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი. ეს ის ნაბიჯებია, რომელმაც შეიძლება მოგვცეს საშუალება, განათლების სამინისტროსთან ერთად, ისეთი გამოწვევა, როგორიც არის აკადემიური წლის გამოცხადება, დავძლიოთ და ეს არ მოგვიწიოს. ესეც ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია“*, – განაცხადა პრემიერმა.

აკადემიური წლის გამოცხადება რომ საჭირო აღარ იქნება, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმაც დაადასტურა.

*„ტელესკოლა და ონლაინ ფორმატი ჩვენ საშუალებას გვაძლევს, რომ ეს სემესტრი აუცილებლად შედგება და არც ერთ შემთხვევაში არ ჩავარდება. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ჩარჩო დოკუმენტი, სადაც კორონავირუსის გამო შექმნილი გამოწვევების დასაძლევად, განათლების მიმართულებით, საქართველო შეფასებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანა მსოფლიოში.*

*ამ დოკუმენტში დეტალურადაა განხილული ყველა ის ღონისძიება, რაც გატარებულია საქართველოში განათლების სამინისტროს მიერ და განსაკუთრებით არის გამოყოფილი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელსაც განათლების სამინისტრო ახორციელებს, საქართველოს პირველ არხთან ერთად, – პროექტი „ტელესკოლა“, რომელიც ხელმისაწვდომობის გარანტიას იძლევა, რადგან პროექტი განკუთვნილია ყველასთვის.*

*ამ დოკუმენტში დეტალურად არის განხილული დისტანციური სწავლების ღონისძიებებიც, კერძოდ, ის პროგრამები, რომელიც სკოლების მიერ არის გამოყენებული დისტანციური სწავლებისთვის“* – განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

რაც შეეხება ერთიან ეროვნულ გამოცდებს, მიხეილ ჩხენკელის განცხადებით, ამ ეტაპზე, ეროვნული გამოცდების ჩატარების ფორმატის ან თარიღის ცვლილების საკითხი არ განიხილება.

მინისტრმა აღნიშნა, რომ სამინისტროს გადაწყვეტილებით, გახანგრძლივებულია ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაციის ვადა და, „ტელესკოლის“ პროექტის ფარგლებში, განსაკუთრებული როლი ენიჭება აბიტურიენტის საათს, სადაც აბიტურიენტები, ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით, წამყვანი სპეციალისტებისგან იღებენ კონსულტაციებს.

# სამინისტრო საშუალო საფეხურის ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე მუშაობას იწყებს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ესტონეთის მთავრობისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ხელშეწყობით, აგრძელებს პროექტს, რომელიც ითვალისწინებს საშუალო საფეხურის, მე-11-მე-12 კლასების, ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიას, საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. შედეგად, მოსწავლეები შეიძენენ 21-ე საუკუნის გამოწვევებისთვის საჭირო ცოდნას, უნარ-ჩვევებს, მიდგომებსა და კომპეტენციებს, რომლებიც შემდგომში მათ დასაქმებას შეუწყობს ხელს. სასწავლო პროგრამის რევიზიაში, ასევე, აქტიურად იქნება ჩართული ესტონეთის ფონდი „ინოვე“.

აღნიშნულ საკითხზე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ეკატერინე დგებუაძემ ესტონეთის ელჩთან, კაი კაარელსონთან, UNICEF-ის წარმომადგენელთან საქართველოში, ღასან ხალილთან და ესტონეთის ფონდ „ინოვეს“ წარმომადგენელთან, ეინარ ვარასთან, დისტანციური წესით, ვიდეოშეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე ხასან ხალილმა აღნიშნა, რომ სამინისტროსთან და ესტონეთის საელჩოსთან პარტნიორობის მთავარ პრიორიტეტს საქართველოში მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესება წარმოადგენს. ასევე, მან ისაუბრა ესტონეთის განათლების მოდელის გაცნობისა და დაგროვილი გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობაზე, რაც გულისხმობს ბავშვზე ფოკუსირებულ და კომპეტენციებზე დამყარებულ სასწავლო პროგრამასა და ინოვაციურ და ინტერაქტიულ სწავლებას. ეს ყველაფერი კი მოსწავლეებისთვის შესაბამის სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას უწყობს ხელს.

მხარეებმა, შეხვედრის ფარგლებში, პარტნიორობის საკითხები განიხილეს, რაც ითვალისწინებს საშუალო განათლების ზედა საფეხურისათვის პოლიტიკისა და მიზნების განსაზღვრას, კავშირებს შემდგომ განათლებასა და დასაქმების შესაძლებლობებთან, სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზებას, სავალდებულო და არჩევითი საგნების განაწილებას, საგნობრივი სტანდარტებისა და პროგრამების შემუშავებას, შეფასების მექანიზმების შემუშავებას მოსწავლეთა კომპეტენციების გაზრდის მიზნით და მოზარდების უკეთ მომზადებას ცხოვრების, დასაქმებისა და შემდგომი განათლებისათვის.

ეკატერინე დგებუაძემ მადლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და საქართველოში მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროექტის განხორციელებისთვის. შეხვედრის ბოლოს, მხარეები შეთანხმდნენ მჭიდრო თანამშრომლობაზე და საქართველოს სკოლებში განათლების თანამედროვე მიდგომების დანერგვის მიმართულებით სამომავლო გეგმები განიხილეს.

*მოცემული პროექტი წარმოადგენს 2014-2016 წლებში განხორციელებული პარტნიორობის ლოგიკურ გაგრძელებას. თანამშრომლობის წინა ეტაპის ფარგლებში, გადაიხედა I-IX კლასების ეროვნული სასწავლო გეგმა.*

*ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიასთან ერთად, 2017-2019 წლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით შერჩეული 20 საპილოტე სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს მომზადება და სწავლების ინოვაციურ მიდგომებს გაეცნენ. პროგრამის ფარგლებში, ქართველი პრაქტიკოსი პედაგოგები სასწავლო ვიზიტით ესტონეთს ეწვივნენ, რათა ადგილზე გასცნობოდნენ სწავლებისა და სწავლის ესტონურ მოდელს.*

*კლასში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებამ 20 საპილოტე სკოლაში შეცვალა გაკვეთილების ჩატარების პროცესი – გაკვეთილები გახდა ინტერაქტიული, სახალისო და საინტერესო. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „ახალი სკოლის მოდელი“.*

# 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციის ვადა გახანგრძლივდა

გამოცდებში მონაწილეობის მსურველთა ინტერესების გათვალისწინებით და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით, რეგისტრაციის ვადა გამოცდებისათვის, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსისათვის **30 აპრილის 18 საათამდე** გახანგრძლივდა.

რომელსაც აპლიკანტს გამოცდის დროს ესაჭიროება სპეციალური პირობების/სპეციფიკური საგამოცდო გარემოს შექმნა და მან რეგისტრაციისას მონიშნა ან მონიშნავს შესაბამის გრაფას, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შესაბამისი ცნობა (ფორმა №100) **16 აპრილის ნაცვლად, 30 აპრილის 18:00 საათამდე უნდა წარმოადგინოს.**

ცვლილება ეხება მხოლოდ გამოცდებზე რეგისტრაციის ვადებს და არა გამოცდების ჩატარების პერიოდს. ნებისმიერი დამატებითი ცვლილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ფეისბუქ და ვებგვერდებზე.

# მთავრობის №205 დადგენილებით სასწავლო პროცესის წარმართვის მეთოდი განისაზღვრა

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის №205 დადგენილებით განისაზღვრა სასწავლო პროცესის წარმართვის მეთოდი – სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი – განათლების მიერ შექმნილი „ტელესკოლის“ დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით.

დადგენილების მიხედვით, თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს სამინისტროს მიერ დადგენილი დისტანციური/ელექტრონული ფორმით მოსწავლეებისთვის განათლების მიწოდება „ტელესკოლის“ ან ონლაინსწავლების საგანმანათლებლო მიზნებისთვის შექმნილი სპეციალური ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.

თუ მოსწავლე, ტექნიკური პრობლემების გამო, არ/ვერ შეძლებს „ტელესკოლაში“ ჩართვას ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეთავაზებული სპეციალური ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ონლაინსწავლების პროცესში მონაწილეობას, საგნის მასწავლებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მოსწავლისთვის ესგ-ით განსაზღვრული დავალებების მიწოდება, კონსულტირება კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

*„მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია,ითანამშრომლოს მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, დამრიგებელთან,საგნის სასწავლებელსა და სკოლის სხვა სპეციალისტებთან. სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვალდებულნი არიან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, სისტემატური კომუნიკაციის ფარგლებში, რეკომენდაცია გაუწიონ სახლის პირობებში მეცადინეობის, საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსების გამოყენების შესახებ და მიიღონ უკუკავშირი“*, – ვკითხულობთ დოკუმენტში.

დადგენილებაში საუბარია სამინისტროს სისტემაში არსებულ რესურსსკოლებზეც, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ახორციელებენ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესს, ვალდებულნი არიან, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მისცენ სახლის პირობებში მოსწავლესთან მუშაობის რეკომენდაციები და მიიღონ უკუკავშირი.

დადგენილების მიხედვით:*„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული ექიმი/ექთანი, მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, რეგულარულად უზრუნველყოფს კომუნიკაციას დამრიგებლებთან. მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ ინფორმაციისმიღების შემთხვევაში, უკავშირდება მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს მკურნალობის პროცესის მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში, მუშაობს მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან მოსწავლის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში გადამისამართებაზე და ამის შესახებ აცნობებს სკოლის დირექტორს“.*

გამოწვევები ონლაინ სწავლებაში

# პროფესიონალი სპეციალისტები ქვეყნისთვის ნამდვილი ფუფუნებაა – უტა კილასონია დისტანციურ სწავლებაზე



*დისტანციური სწავლების დანერგვასა და პრაქტიკის გაზიარებაზე ბევრი დაიწერა და ითქვა, ბევრი პრობლემა და მოულოდნელი წარმატებაც გამოიკვეთა, თუმცა, ასეთ რეჟიმში, მოუმზადებლად, სისტემის მთლიანად ტექნოლოგიების პლატფორმაზე გადაწყობა, ბუნებრივია, ხარვეზების გარეშე ვერ გამოვა. მთავარია, სწორი შეფასებებით, მხარდაჭერითა და მასწავლებლების მხრიდან სწორად აღქმული ონლაინ-სწავლებით შევძლოთ ამ რთული გამოწვევის გამკლავება, თუნდაც მინიმალური შედეგებით. როგორც პროცესებმა ცხადჰყო, სასწავლო პროცესში, ისევე, როგორც პირისპირ, დისტანციური სწავლების დროსაც მთავარი საყრდენი პროფესიონალი მასწავლებელია. ამ პერიოდში გამოიკვეთა ისიც, რომ ჩვენი მასწავლებლების ისტ უნარების ცოდნა არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთის, რომ დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ პროცესებს, თუმცა, ეს სულაც არ არის ახალი – აქამდეც მუდმივად კეთდებოდა აქცენტი, რომ ტექნოლოგიებთან ურთიერთობა, პედაგოგების გარკვეული ნაწილისთვის, ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემაა.*

*და მაინც, როგორ ფლობენ მასწავლებლები ისტ უნარებს და როგორ გავართმევთ თავს საგანმანათლებლო სისტემის სერიოზულ გამოწვევას? – ამის შეფასება ვთხოვეთ უტა კილასონიას. ჩვენი რესპონდენტი, გარდა იმისა, რომ ერთ-ერთ სკოლაში ასწავლის მეხუთე-მეექვსეკლასელებს ტექნოლოგიებს (სენაკის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია), ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს – პარალელურად, STEM ჯგუფს ხელმძღვანელობს იმავე სკოლაში, ასევე, STEM ჯგუფებს ხელმძღვანელობს ქუთაისისა და ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლა „პროგრესში“ და მარტვილის კერძო სკოლაში „სხივი“, ზუგდიდში კი, ტექნოპარკის მიწვეული ტრენერია, ასევე, განათლების სამინისტროს ტექნოლოგიების ექსპერტი „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტის ფარგლებში; წლის საუკეთესო ტექნოლოგიების მასწავლებელი და „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ საუკეთესო ათეულის წევრი.*

*საინტერესოა, როგორია მისი თვალით დანახული დისტანციური სწავლების პროცესი.*

### ✓ მეცნიერების განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის განვითარება

იმედია, ყველა კარგად დაფიქრდება, რომ მეცნიერების განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის განვითარება, ნორმალურად არსებობაც და ისეთი პრობლემების მოგვარებაც, რაც დღეს გვაქვს. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ შეგვახსენა კორონავირუსმა. შესაბამისად, როცა ეს სიტუაცია ჩაივლის, კიდევ უფრო მეტად უნდა წახალისდეს, სკოლის ასაკიდანვე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლება და მეტი რესურსი დაიხარჯოს ამ საქმეში.

კარგა ხანია, მაწუხებს და ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი შეცდომა იყო, როცა სკოლის დირექტორებს საშუალება მიეცათ, საკუთარი ხედვით, კონკურსის გამოცხადების გარეშე, შეეუთავსონ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საგნები სხვა საგნის სპეციალისტებს, რომლებსაც არ გააჩნიათ აღნიშნული საგნების კომპეტენცია. თუ გადავხედავთ კონკურსების სტატისტიკას, მივხვდებით, რომ ეს საგნები სხვა მასწავლებლებისთვის საათების შესავსებად გამოიყენეს. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, ასე მოხდა.

საბუნებისმეტყველო საგნებს რომ მეტი პოპულარიზაცია სჭირდება, ამაში, ალბათ, დამეთანხმებით. ვინც არ მეთანხმება, მათ გასაგონად ვიტყვი, რომ დღეს სკოლებს სანთლით საძებარი ჰყავთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები, განსაკუთრებით კი, ფიზიკის მასწავლებლები. რატომ? იმიტომ, რომ ძალიან დაბალია ინტერესი ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მიმართ. ამიტომაც სჭირდება მეტი ყურადღება ამ მიმართულებებს, დღევანდელი მდგომარეობა კიდევ უფრო ადასტურებს იმასაც, რომ ახლა ამ მიმართულების პროფესიონალი სპეციალისტების ყოლა ქვეყნისთვის ნამდვილი ფუფუნებაა.

მოსწავლეები უნდა დავაინტერესოთ ამ საგნებით – პირველ რიგში, საჭიროა კარგი, ძლიერი და პროფესიონალი მასწავლებლები, მათ უნდა დააინტერესონ მოსწავლეები. რომელი საგნის მასწავლებელიც მოსწონთ (მეც ასე ვიყავი) და საინტერესოდ უხსნის გაკვეთილს, ბავშვებსაც ის საგანი უყვარდებათ.

### ✓ ისტ უნარების დაბალი კომპეტენცია

მასწავლებლებს ძალიან უჭირთ ტექნოლოგიებით სწავლება, მიუხედავად იმისა, რომ მათ არაერთი ტრენინგი ჩაუტარდათ ამ მიმართულებით. მე თვითონაც, „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, ტექნოლოგიების ექსპერტი ვარ და კარგად ვხედავ, სად რა ხდება. თუმცა, იმ 160 სკოლაში, სადაც ეს პროექტი ხორციელდება, შეიძლება ითქვას, რომ საქმე კარგად გვაქვს. ტრენინგებს დავუბრუნდები და გეტყვით, რომ ისტ უნარებში, მართლაც ბევრი ტრენინგი განხორციელდა, მაგრამ ეს იყო, უბრალოდ, ტრენინგები კრედიტებისთვის, როგორც ხშირად ხდება ხოლმე. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, სამინისტროს მიზნებს, რომ ცოდნა მივიდეს მასწავლებლებთან და შემდეგ მოსწავლეებთან, ეს ტრენინგები ასცდა. შედეგიც თვალხილულია – ამიტომაც ვართ ახლა ასეთი რელობის წინაშე. როგორც ვხედავთ, მასწავლებლებს მაინც უჭირთ ტექნოლოგიების გამოყენება. მესმის, რომ პირდაპირ, ყოველგავრი მომზადება/გადამზადების გარეშე, მოგვიწია დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა. რეალურად, როგორც გითხარით, 160 სკოლა მზად არის დისტანციური სწავლებისთვის და ამ სკოლებში შედეგებიც ჩანს, დანარჩენ სკოლებში კი, პროცესები უფრო გაჭირდება.

### ✓ გაართმევს თუ არა თავს სისტემა დისტანციურ სწავლებას

წინა კვირას საფრანგეთში ვესაუბრე ჩემს მეგობარს და გავიგე, რომ იქ ჯერ დაწყებულიც კი არ ჰქონდათ ონლაინ სწავლება. ჩვენ ეს პროცესი დავიწყეთ, ანუ ცუდი სიტუაცია არ გვაქვს. თან სამინიტროსთან მუდმივ კოორდინაციაში ვიმყოფებით, ბევრი რამის, რაც ამ მიმათულებით კეთდება, უშუალო თანამონაწილე ვარ და ვფიქრობ, კარგად მივყვებით პროცესს. მთავარია, ახლა მასწავლებლები როგორ განავითარებენ და აუბამენ მხარს.

საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი პედაგოგების მიმართულებით განხორციელებულ რეფორმას ვემხრობი და ძალიან მოხარული ვარ, რომ მათი ჩანაცვლება ახალგაზრდა კადრებით მოხდა. დარწმუნებული ვარ, ეს კიდევ უფრო წინ წასწევს საქმეს. ამის თქმის უფლებას ისიც მაძლევს, რომ ტექნოლოგიებს ახალმიღებული კადრები, ანუ ახალგაზრდები უკეთ ფლობენ ტექნოლოგიებს. ამიტომ, წესით, რაღაც შედეგზე მაინც გავალთ, თუმცა, იოლი არ იქნება ეს გზა – ნაწილი შეძლებს, ნაწილი – ვერ. ძირითადად, გაჭირდება სოფლის სკოლებში და ისეთ სკოლებში, სადაც ახალგაზრდა კონტინგენტი შედარებით ნაკლებია.

ინტერნეტსივრცეში რომ ვაკვირდები, როგორ ცდილობს ყველა ერთმანეთის დახმარებას, იმედი მეძლევა – ალბათ, მოწოდებით ვართ ასეთები, რომ გაჭირვების ჟამს ვერთიანდებით, ეს ყველა მხრივ შეინიშნება. გაზიარება გადამდები გახდა მასწავლებლებისთვის. ამის გარდა, სამინისტროს ინიციატივით, ექსპერტთა ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელიც მასწავლებლებს, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება. მასწავლებლებს ვეხმარებით, ასევე, „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართული ექსპერტებიც, ვეხმარებით ყველას, ვისაც კი დახმარება სჭირდება, მნიშვნელობა არა აქვს იქნება მაღალმთიანი სკოლა, რეგიონის თუ დედაქალაქის. ამის გარდა, მათ დასახმარებლად შეიქმნა მოხალისეთა ჯგუფებიც, ცალკე არიან მობილიზებული ემისის ჯგუფები, სამინისტროს ექსპერტები. ყველა თხოვნაზე დროულად ვრეაგირებთ, მთავარია, მათ მოინდომონ.

### ✓ ბიძგი – მეტად ორიენტირებულები რომ გავხდეთ ტექნოლოგიებზე

რა თქმა უნდა, ეს მოვლენები მართლაც გახდება ერთგვარი ბიძგი, რომ ისტ-ის საგანი სკოლებში მეტი დოზით დაინერგოს. სამწუხაროდ, ხშირად, სკოლებში ამ საგნის სწავლებას მინიმალური საათები ეთმობა, მაგალითად, კვირაში 4 საათი... სასურველია, მეტი საათი დაუთმონ ისტ უნარების განვითარებას, მეტსაც გეტყვით, ჩემი აზრით, არა მხოლოდ გამოყენების დონეზე, არამედ შემქმნელის დონეზეც კი. ამიტომ ვამბობ, რომ უფრო მეტი ყურადღება სჭირდება ამ ყველაფერს, მეტი კვალიფიციური კადრი სისტემას და არა იმ კადრების იმედად ყოფნა, რომლებსაც საათებს შევუთავსებთ ისე, რომ მათ კომპეტენციასაც არ ვიკითხავთ.

### ✓ დისტანციური სწავლების მთავარი გამოწვევები

დისტანციური სწავლების სტანდარტი, როგორც ვიცი, ჯერ არ გვაქვს, თუმცა, ასეთ სიტუაციას არავინ ელოდა, ვერც კი წარმოიდგენდა ვინმე. ახლა, ალბათ, სტანდარტზეც იმუშავებს სამინისტრო.

მაღალმთიან სკოლებში და სოფლის სკოლებში პრობლემაა ინტერნეტზე წვდომა. ამ შემთხვევაში, იმ მასწავლებლებს აქვთ უპირატესობა, ვინც კორპორატიული ნომრებით სარგებლობენ.

ბუნებრივია, სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა მოსწავლეს შეუძინოს ინტერნეტი. პროცესი გაადვილებულია იმ კუთხით, რომ ონლაინგაკვეთილისთვის სავალდებულო არ არის კომპიუტერის გამოყენება, შეუძლიათ ტელეფონში ჩატვირთონ აპლიკაცია და ამით ისარგებლონ. ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა შეუძლიათ მობილურ ოპარატორებს – ჩაერთონ პროცესში და შეღავათიანი ინტერნეტპაკეტები შესთავაზონ მოსწავლეებს, თუნდაც დროებით, ასევე მასწავლებლებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სოფლებისთვის, სადაც ჭირს უწყვეტი ინტერნეტის მიწოდება.

თუმცა, დისტანციური სწავლების ყველაზე დიდი გამოწვევა მაინც მასწავლებლის კომპეტენციაა, როგორ წავალთ და საით წავალთ – ეს მხოლოდ მათზეა დამოკიდებული. სამინისტრო, ამ შემთხვევაში, მაქსიმუმს აკეთებს – ყველა რესურსი მობილიზებულია, რომ მათ ამის სრულფასოვნად გამოყენება შეძლონ.

ბუნებრივია, არ იქნება ეს იოლი პროცესი, ამიტომ მინდა ვუთხრა კოლეგებს, უფრო მეტი მოინდომეთ, არ მოდუნდეთ, ყველ რესურსი და შესაძლებლობა, რაზეც კი ხელი მიგიწვდებათ, გამოიყენეთ. ითხოვეთ დახმარება, ჩვენ ამისთვის მზად ვართ. ასეთ რეჟიმში ჩაბმა მეტ ძალისხმევას მოითხოვს, დარწმუნებული ვარ გამოგვივა და, რაც ყველაზე მთავარია, ბავშვებს ძალიან მოსწონთ ონლაინგაკვეთილები!

### ✓ რა ჯდება დისტანციური სწავლება – საშუალოდ რამდენს მოიხმარს ერთი მოსწავლე

პირადი გათვლით გეტყვით, რომ, დაახლოებით, 15 გეგაბაიტი რომ ჰქონდეს მოსწავლეს, საშუალოდ, თვიური ლიმიტი, წესით, უნდა ეყოს. ადრე კორპორატიული ნომრით, 5 ლარად, 15 გეგაბაიტის შეძენა იყო შესაძლებელი, ახლა 5-ის შეძენა შეუძლიათ. ახლა ინტერნეტპროვაიდერებმა რომ დაუშვან შეღავათები, გაცილებით წინ წაიწევს დისტანციური სწავლება და მოსწავლეც მეტად იქნება ჩართული პროცესში. მაგრამ მაინც ყველაფერი მასწავლებელზეა დამოკიდებული.

### ✓ მონდომების გარდა, რა შესაძლებლობა გვაქვს

ძალიან ბევრმა მასწავლებელმა უკვე დანერგა დისტანციური სწავლება, რაც მთავარია, თვითონაც სწავლობს და მოსწავლეებსაც ასწავლის. მიხარია, რომ მოსწავლეები ძალიან მაგრები არიან – ამ სფეროში ბევრად უფრო არიან ჩართულები და ჩახედულები, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია, ეს გასაკვირიც არ არის, ბოლოს და ბოლოს, 21-ე საუკუნის – ტექნოლოგიების ერის ბავშვებთან გვაქვს შეხება. შესაბამისად, მოსწავლების მხრიდან, პრობლემა არ შეგვექმნება, პრობლემებს უფრო მასწავლებლების მხრიდან უნდა ველოდოთ. მათი მხრიდან მეტი მონდომებაა საჭირო, რასაც ჩვენ ვხედავთ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის. უფრო მეტად უნდა გაითავისოს მასწავლებელმა, რომ ეს არ არის დასვენების – „არდადეგების“ დრო, არამედ ეს არის დისტანციურად მუშაობის საკმაოდ რთული ეტაპი. მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს. პირადად მე, არც ერთ გაკვეთილს არ ვაცდენ, ძალიან კომფორტულად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ვატარებ სახლიდან სტემ-ის გაკვეთილებს, რომლბეიც უშუალოდ პრაქტიკულ სამუშაოებს ითვალისწინებს.

### ✓ საგანი+ისტ, თუ ისტ+საგანი

ისეთ ეტაპზე, როცა წამყვანი ან მენტორი მასწავლებელი ხდები, რასაკვირველია, აუცილებელი უნდა იყოს ტექნიკური უნარების მაღალ დონეზე ცოდნა იმიტომ, რომ ტექნოლოგოების გამოყენება საგაკვეთილო პროცესს საინტერესოს ხდის. მეტიც, ჩემი აზრით, ტექნოლოგიებით დაგეგმილი სასწავლო პროცესი და კომუნიკაციის მხარე, გაზიარების მხრივ, თანამედროვე განათლებაში ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. პირადი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, რომ ამდენ სკოლასთან თანამშრომლობას, სწორედ, დისტანციურად – ტექნოლოგიების გამოყენებით ვასწრებ.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

თვითიზოლაციაში მყოფი სტუდენტები უცხოეთში

**მსოფლიოში ახალი კორონავირუსით შექმნილმა მდგომარეობამ, ბუნებრივია, ევროპაში მყოფი ქართველი სტუდენტების დღის წესრიგი ისევე შეცვალა, უფრო სწორად თავდაყირა დააყენა, როგორც დანარჩენი მოქალაქეების. თუმცა, მათგან განსხვავებით, უცხოეთში დარჩენილი სტუდენტების უმეტესობისთვის ახლა სამშობლოში დაბრუნებაც თავსატეხად იქცა, ნაწილი კი, თვითიზოლაციის პროცესის დასრულებას, შეძლებისდაგვარად, მშვიდად ელოდება, მაგრამ ამ სიმშვიდეში ნოსტალგია მაინც მოჭარბებულად იგრძნობა. და მაინც, რა შეცვალა თვითიზოლაციამ უცხოეთში მყოფი ქართველი სტუდენტების ცხოვრებაში?**

# ვცდილობ, ჩემი აღქმის დონით არ შევხედო ამ გამოწვევას



ქეთევან ჯელაძე
KIT-ის უნივერსიტეტის ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი

უკვე მეორე თვეა, რაც გერმანიაში გადმოვედი საცხოვრებლად, ვსწავლობ კარლსრუეს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

მე-9 დღეა, რაც სალექციო რეჟიმი გაუქმდა და ნებაყოფლობით თვითიზოლაციაში გადავედი. დღევანდელი მონაცემებით, 19 აპრილამდე ლექციები არ ჩატარდება.

ლექტორები თითქმის ყოველდღიურად გვეხმიანებიან, სხვადასხვა რეკომენდაციებს გვაძლევენ, ზოგიერთი ჩვენს მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზეც გვწერს, გვამხნევებს, რაც ძალიან სასიამოვნოა.

იმ საერთო საცხოვრებელში, სადაც მე ვცხოვრობ, ჩემ გარდა, ბევრი სტუდენტია. ყველა დაბნეული და ცოტა მოწყენილია. დიდ წვეულებებს აღარ მართავენ, რაც მანამდე მათი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი იყო, მაგრამ არავინ წუწუნებს.

ჩემი რეალობაც ძალიან შეიცვლა. თავი სუპერგმირი მგონია, რომელსაც რამდენიმე მისია აქვს: მაღაზიიდან პროდუქტების მომარაგება, მეცადინეობა და, რაც მთავარია, კარგი განწყობის შენარჩუნება. პირველი ორი რთული არ არის, მესამე კი, შედარებით შრომატევადია. პოზიტიური განწყობის შესანარჩუნებლად მეხმარებიან „პროცენტები", ვითვლი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით რამდენი პროცენტია ინფიცირებული, რამდენი გარდაცვლილი, რამდენია გამოჯანმრთელებული. სიახლეებს დღეში მხოლოდ ორჯერ ვეცნობი. ბევრს ვკითხულობ, რაც განსაკუთრებით მეხმარება თვითიზოლაციის დადებითი მხარეების აღმოჩენაში. ჩემი წიგნების მარაგი არც ისე დიდია, სულ 4 წიგნი მაქვს წამოღებული, მაგრამ „საბას" აპლიკაციამ ერთი თვის განმავლობაში წიგნებზე წვდომა უფასო გახადა, რაც ძალიან გამიხარდა. ახლა „ჰომო ფაბერს" ვკითხულობ და ვცდილობ გავარკვიო, რატომ არ უყვარს ავტორს გერმანელები. ვუსმენ მუსიკას, ვუყურებ ფილმებს. ვფიქრობ ბევრს დღევანდელობის ავკარგიანობაზე, მიზეზებზე, შედეგებზე. ველაპარაკები ჩემს მეგობრებს ვიდეოზარით, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მათი ყურადღებაც ჩემ მიმართ გაორმაგდა, რაც ძალიან მახალისებს.

ჩემი ძალიან დიდი ოჯახის 8-ვე წევრი, ყოველდღიურად, ჩემთან ერთად განიხილავს შექმნილი სიტუაციის გამოწვევებსა და შედეგებს, ჩემი დაბრუნება-არდაბრუნების საკითხს.

დაბრუნებასთან დაკავშირებით უცნაურ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ვფიქრობ, აქ დარჩენით უფრო დავიცავ საკუთარ თავსაც, ოჯახსაც და ჩემს თანამოქალაქეებსაც. დღეს ასე ვფიქრობ, მაგრამ არ ვიცი რა იქნება ხვალ.

ჩემმა ერთმა ძალიან კარგმა მასწავლებელმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა სტატუსი, რომელიც ძალიან მომეწონა: „ახსნას წყვეტ, როდესაც ხვდები, რომ ხალხი მხოლოდ საკუთარი აღქმის დონით აანალიზებს". ჰოდა, მეც ვცდილობ, ჩემი აღქმის დონით არ შევხედო ამ გამოწვევას.

# სამუშაო პროცესი არ მაძლევს საშუალებას, პანიკურმა ფიქრებმა დაჯაბნოს ჩემი გუნება-განწყობილება



მარი ჩიტაშვილი
ზაარლანდის უნივერსიტეტის, ევროპისა და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი (LLM. EUROPEAN AND INTERNATIONAL LAW),
KAAD-ის სასტიპენდიო პროგრამის სტიპენდიანტი

ზაარლანდის უნივერსიტეტში 2019 წლის ოქტომბრის თვიდან ვსწავლობ, სასწავლო პროცესი უამრავი საგანმანათლებლო აქტივობებით საკმაოდ დატვირთულია. პირველი სემესტრის დასასრული უნდა ყოფილიყო 2020 წლის 19 მარტს, თუმცა 13 მარტს, კორონავირუსისგან გამოწვეული საფრთხის გამო, ადგილობრივი მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, 04.04.2020 წლამდე, სასწავლო პროცესი შეჩერდა სკოლებში, უნივერსიტეტებში, ასევე შეწყვიტეს მუშაობა საბავშვო ბაღებმა.

13 მარტიდან მოყოლებული მთავრობის მხრიდან იყო რეკომენდაცია, დავრჩენილიყავით სახლებში და მაქსიმალურად შეგვეკავებინა თავი ყველა სოციალური აქტივობისგან. დღევანდელი დღიდან (21.03.2020), ჩვენს მიწაზე, ზაარლანდში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვას ქუჩებში. ჩვენ შეგვიძლია დავტოვოთ სახლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, როგორიცაა: სურსათის მომარაგება, მედიკამენტების შეძენა, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება, ექიმთან სტუმრობა, შინაური ცხოველის გასეირნება, სპორტით დაკავება (მაქსიმუმ, 5 ადამიანის მონაწილეობით) ან/და ნათესავის ან ოჯახის წევრის სტუმრობა გამონაკლისის სახით.

ამ შეზღუდვებმა თითქმის ყველა ჩვენგანი სახლებში გამოგვკეტა. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ მიჭირს ამ წესებთან შეგუება, განსაკუთრებით ჩვენი ცხოვრების რიტმის შემდეგ, მოულოდნელად, ყველა საზოგადოებრივი აქტივობების შეწყვეტა.

მიუხედავად შექმნილი უჩვეულო და რთული სიტუაციისა, მე ოპტიმისტურად ვუყურებ ყველაფერს. როგორც გერმანელი ექსპერტები გვარწმუნებენ, აპრილის თვის ბოლოსათვის, ყველაფერი უნდა დამშვიდდეს და ნელ-ნელა ჩვეულ რიტმს დაუბრუნდეს. მეც მთელი გონებით ამ საიმედო პერიოდისათვის ვარ განწყობილი, მანამდე კი, რამდენიმე საშინაო დავალებით ვარ დაკავებული. სამუშაო პროცესი არ მაძლევს საშუალებას, პანიკურმა ფიქრებმა დაჯაბნოს ჩემი გუნება-განწყობილება.

თუმცა, რა თქმა უნდა, როგორც ყველა ჩვენგანი, მეც მაშინებს ყველაფერი. მინდა, თქვენთან გულწრფელი ვიყო.

პირველი, რაც გონებაში მომდის, ესაა რამდენად სწაფად მოხდება ყველაფრის ესკალაცია, ჩაწყნარება და შემდეგ ისევ ჩვეულ რიტმში თვითაღდგენა. შეძლებს თუ არა ჩემი ქვეყანა – საქართველო და, ამასთანავე, გერმანია (ჩემი მეორე სამშობლო) ამ ფრონტზე გამარჯვებას. დიახ, გერმანიას მეორე სამშობლოდ მივიჩნევ, რადგან ამ კულტურამ ჩემს ცხოვრებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა.

ჩემი ოჯახი საქართველოს უკიდურეს სამხრეთით, ახალციხის რაიონის ქალაქ ვალეში ცხოვრობს, თუმცა მამაჩემი ამჟამად პოლონეთში იმყოფება. ჩემი გული და გონება მთლიანად მათ კეთილდღეობაზეა გადართული. მუდამ ვლოცულობ მათთვის.

მედარდება ჩემი მეგობრები, რომლებიც აქ შევიძინე. მათი უმეტესი ნაწილი უკვე გაემგზავრა საკუთარ სამშობლოში ან ახლა ტოვებს ქვეყანას. მაშინებს იმაზე ფიქრი, როდის შევხვდები მათ კვლავ... როდის დასრულდება საკარანტინო პერიოდი, რომ შევძლოთ ნორმალური რიტმით ცხოვრების გაგრძელება...

დღეს, 22 მარტს არა, თუმცა, მჯერა მომდევნო წლის ამავე დღეს შევძლებ ჩემს მეგობრებთან ერთად აღვნიშნო ჩემი დაბადების დღე. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ თვის დასაწყისში დაგეგმილი პატარა წვეულება ვერ შედგა და დაპატიჟებული სტუმრებიდან ვერც ერთმა შეძლო სტუმრობა.

გუშინ სურსათის შეძენისათვის მომიხდა სახლის დატოვება. ქუჩები შედარებით დაცარიელებულია, საგრძნობლად ნაკლები მანქანა მოძრაობს, თუმცა, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ხალხი მაინც გადაადგილდება.

ქალაქის ვერც ერთ აფთიაქში ვერ იპოვით პირბადეს ან/და სადეზინფექციო ხსნარს. როგორც მაღაზიათა ერთ-ერთი ქსელის მოლარემ მითხრა, მაღაზიები არ იკეტება, თუმცა, მოლარეების უსაფრთხოების გამო, სალარო შემოიღობება ლენტებითა და აშენდება ერთგვარი დამცავი კაბინა. საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ავტობუსები, ტრამვაი და მატარებლები კვლავ მუშაობენ. მხოლოდ ავტობუსებში მძღოლთა ერთგვარი იზოლაცია მოხდა საგანგებო ლენტით, რომელიც მგზავრს წინა შესასვლელიდან აღარ აუშვებს და მძღოლთან დისტანციას დაიცავს. სამწუხაროდ, მაღაზიებში გარკვეულ პროდუქტებზე დეფიციტია და ჭირს მათი მოძიება (პირველი, რაც დახლიდან გაქრა, იყო ბრინჯი, მაკარონი, ტუალეტის ქაღალდი და სხვა პირველადი მოხმარების ნივთები), თუმცა, როგორც სასურსათო მაღაზიათა ქსელები, ასევე ადგილობრივი მთავრობა ცდილობს არ შეიქმნას ბაზარზე დეფიციტი და მოხდეს საქონლის დროულად მოწოდება.

დღეის მდგომარეობით, გერმანიამ საზღვარი მხოლოდ რამდენიმე მეზობელ ქვეყანასთან ჩაკეტა, ესენია: საფრანგეთი, ავსტრია, დანია, ლუქსემბურგი და შვეიცარია. დანარჩენ მეზობელ ქვეყნებს შორის კვლავ შესაძლებელია მიმოსვლა. იმ ადამიანებს, ვინც ცხოვრობენ და მუშაობენ სხვადასხვა ქვეყნებში, დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, ეძლევათ შესაძლებლობა გადაკვეთონ საზღვარი.

ამ რთული სიტუაციის მიუხედავად, მინდა ეს ბრწყინვალე შესაძლებლობა გამოვიყენო და გავამხნევო ჩვენი თანამემამულეები. საქართველო, ჩვენი ბრწყინვალე ისტორიის მანძილზე, ხშირად ყოფილა გამოუვალ სიტუაციაში. ჩვენმა ცივილიზაციამ შეძლო ეარსება, ჯერ კიდევ ზეზვა და მზიას პერიოდიდან მოყოლებული, დღევანდელ დღემდე. ეს ფაქტი, მე პირადად, ძალიან ამაყ ქართველს მხდის. ჩემი ქვეყნის გაცნობას აქ, ევროპაში და საქართველოშიც, როცა გიდად ვმუშაობდი, ზუსტად, აი, ამ ფაქტით ვიწყებდი.

ქართველი ერი გამოირჩევა საოცარი რწმენით, სულიერი და მორალური სიძლიერით, ღრმა ადამიანური ღირებულებებით, ოჯახისა და უფროსის გულწრფელი პატივისცემით, ერთმანეთის სიყვარულით, თანადგომითა და ზრუნვით. ვფიქრობ, ამ კრიტიკულ მომენტრში ჩვენ ამ თვისებების შეხსენება გვესაჭიროება, რათა ყველამ ერთად ჩვენთვის, ერთამენთისთვის და ჩვენი მომავალი თაობისთვის შევძლოთ უმტკივნეულოდ გავიმარჯვოთ და მთელი ჩვენი ძალებით შევეცადოთ ქვეყნისათვის ჩვეული სახის დაბრუნებას.

ალბათ, ამ სტატიის კითხვისას ბევრს გაუჩნდება კრიტიკული აზრი, რომ მე ქართველი ერის თვისებებს ვაზვიადებ და ძალიან სუბიექტურად ვუყურებ, თუმცა, მინდა კითხვა დავუსვა ასეთ ადამიანებს: რომ არა ჩვენი წინაპრების ძლიერ სულიერ და ადამიანურ ღირებულებებზე დაფუძნებული ყოფითი ცხოვრება, შევძლებდით განა დღემდე გვეარსება, გვეტარებინა ნაციონალობით ქართველის სტატუსი და გვესაუბრა ქართულ ენაზე?




# არ გაჩერდე, ახლა კეთების დროა!

**თემო სუყაშვილი**
მარნეულის №2 და №5 საჯაროს სკოლების სამოქალაქო განათლების/მოქალაქეობის, ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი

## #დარჩისახლში!

21-ე საუკუნე, ზოგადად, გამოწვევების საუკუნეა და შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში, გამოწვევა შესაძლებლობადაც კი ვაქციოთ. მოცემულ სიტუაციაში, მსოფლიო პანდემიის ფონზე, ჩვენ უნდა ვიყოთ სახლში აუცილებლად და დავიცვათ სოციალური დისტანცია.

დავრჩეთ სახლში და მოვერიდოთ პირისპირ კონტაქტებს – ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გავჩერდეთ!!! პირიქით, ახლა კეთების დროა – ინტერნეტის საშუალებით ჩვენ ბევრი სასარგებლო რამ შეგვიძლია გავაკეთოთ. რა? ახლავე მოგახსენებთ:

## ✓ ისწავლეთ რომელიმე უცხო ენა!

ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ინგლისური ენის ცოდნის დანაკლისია მოსწავლეებშიც და უფროს თაობაშიც, ამიტომ, ეს პერიოდი მაქსიმალურად გამოვიყენოთ რომელიმე უცხო ენის შესასწავლად. მერწმუნეთ, ხვალ და ზეგ, პანდემიის დასრულების შემდეგ, ეს ძალიან გამოგადგებათ. ენის ცოდნა უამრავ შესაძლებლობას გააჩენს თქვენთვის – შეძლებთ სხვადასხვა პროექტებში ჩართვას, უცხოეთში სასწავლო პროგრამებით გამგზავრებას და ა.შ.

## ✓ იყავით ორიენტირებული თვითგანვითარებაზე!

ამ დღეებში იმდენ ელექტრონულ რესურსთან მომიწია შეხება და დავიწყე ამ რესურსების შესწავლა, რაზეც ადრე საერთოდ არ ვფიქრობდი. ყოველდღიური ცხოვრება შეიცვალა, შესაბამისად, მე უფრო მეტი დრო დამრჩა იმისთვის, რომ საკუთარი თავის განვითარებაზე მეფიქრა. ამიტომ თქვენც გირჩევთ, იფიქროთ თვითგანვითარებაზე – რასაც ამ პერიოდში ვისწავლით, რა უნარებსაც დავეუფლებით, კარგად გამოვიყენებთ როგორც საკუთარი, ისე ქვეყნის საკეთილდღეოდ.

## ✓ უყურეთ საგანმანათლებლო/შემეცნებითი ხასიათის ფილმებს!

ვინაიდან მასწავლებელი ვარ, ყურადღებას მოსწავლეებზე გავამახვილებ და მათ მოვუწოდებ, უყურეთ, მაგალითად, ბიბისის (BB ) ფილმს – "პლანეტა დედამიწა" ან დისქავერის (D ) დოკუმენტურ ფილმებს, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია. აუცილებლად გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა. ასევე, უყურეთ სხვა ჟანრის ფილმებსაც და გაიმდიდრეთ თვალსაწიერი. ეს დისტანციური სწავლების ერთგვარი საშუალებაცაა.

## ✓ ეს დრო გამოიყენეთ შემოქმედებითი წერისთვის!

ბუნებრივია, ყველა არ არის დაჯილდოებული წერის განსაკუთრებული ნიჭით, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ ვწეროთ – აუცილებლად აკეთეთ ჩანაწერები, თვითრეფლექსიები – რა შევიძინე ერთი დღის, ერთი კვირის განმავლობაში, თვითრეფლექსიით ძალიან ვიზრდებით. ისარგებლეთ ამ შესაძლებლობით, არ გაუშვათ შანსი ხელიდან. საკუთარ მაგალითზე გეტყვით, რომ მე ეს ყველაფერი შედარებით გვიან გავაცნობიერე – უკვე 30 წლის ვარ, ვფიქრობ, ცოტა დავაგვიანე. თქვენ კი, ჩემო ძვირფასო მოსწავლეებო, თქვენი ასაკიდან გამომდინარე, წინ უამრავი შესაძლებლობა გაქვთ და ეცადეთ, არც ერთი არ გაუშვათ ხელიდან! ყოველდღიურ რეჟიმში აკეთეთ ჩანაწერები რვეულში, ელექტრონულ მოწყობილობებში, თქვენთვის სადაც უფრო იოლია, ეს აუცილებლად დაგეხმარებათ განვითარებაში.

სახლში დარჩენა გამოვიყენოთ საკუთარი თავის განვითარებისთვის, თუმცა, ამასთან ერთად, აუცილებლად ვიზრუნოთ და ვიფიქროთ სხვებზეც. თუ ვინმეს სჭირდებით, დაეხმარეთ! ბუნებრივია, დისტანციურად. ახლა მხოლოდ ერთმანეთის დახმარება და ერთმანეთზე ზრუნვა გადაგვარჩენს! ვზღუდავთ გარეთ გასვლას და კონტაქტებს, ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ვზრუნავთ ერთმანეთზე.

ეს არ არის მხოლოდ ჩვენი გამოწვევა – მსოფლიო მოწოდებაა, რომ სოციალური კონტაქტების შეზღუდვა მაქსიმალურად უწყობს ხელს ვირუსის სწრაფ და მასშტაბურ გავრცელებას.

## ✓ თავი შეიკავეთ გამოხატვის აგრესიული ფორმებისგან!!!

პროფესიით არ ვარ მასწავლებელი, 2013 წელს მივიღე მონაწილეობა განათლების სამინისტროს პროექტში "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის" და, სიმართლე გითხრათ, მხოლოდ ერთი წლით დარჩენას ვფიქრობდი ამ პროექტში. თუმცა, იმ ერთმა 2013-2014-მა სასწავლო წელმა მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. თამამად შემიძლია გითხრათ (თავმდაბლობის გარეშე), პროფესიაში რომ წარმატებული ვარ და უამრავ მოსწავლეს ვუყვარვარ, ამაში ლომის წილი მიუძღვის მარნეულის მუნიციპალიტეტს, მთლიანად ქვემო ქართლს. მინდა ვუთხრა ადამიანებს, რომ იქ მხოლოდ აზერბაიჯანელები არ ცხოვრობენ, მათთან ერთად უამრავი ქართველიც ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, დღეს სოციალურ ქსელში აგორებული დისკრიმინაციული კამპანია ყველას თანაბრად გვეხება.

დიახ, ეს ჩვენ გვეხება, ყველას, ვინც ერთად ვცდილობთ რეგიონის განვითარებას, ვზრუნავთ, სახელმწიფოებრივი აზროვნება გავზარდოთ ახალგაზრდებში. დისკრიმინაციული ხასიათის პოსტებს რომ აქვეყნებთ, ის მარტო ჩვენს თვალთახედვის არეში კი არა, გულშიც გვხვდება. მოვუწოდებ მათ, თავი შეიკავონ გამოხატვის ასეთი აგრესიული ფორმებისგან!!! ვფიქრობ, ახლა ყველაზე მეტად უნდა ვიყოთ კონსოლიდირებულები, გაერთიანებულები, რომ ეს დიდი გამოწვევა დავამარცხოთ. ასე რთულია ტოლერანტობა? ვირუსმა არც ეროვნება იცის, არც რელიგიური კონფესია და არც იმ ნიშნით არჩევს ადამიანებს სახელმწიფო ენა იცის თუ არა.

თუმცა, მაინც მინდა გითხრათ, რომ ახალი თაობა, რომელსაც ჩვენ სკოლებში ვზრდით, ენობრივი ბარიერის პრობლემას მთლიანად მოხსნის, წლების შემდეგ, ჩვენი მოსწავლეების შვილებიც ისევე ისაუბრებენ ქართულად, როგორც ახლა ისინი საუბრობენ. მაგრამ ახლა, გამუდმებულად, ამ მოსახლეობის ან სახელმწიფოს დადანაშაულება იმაში, რომ უფროსმა თაობამ არ იცის ქართული ენა, ეს არასწორია – ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს საბჭოთა ეპოქის თობაა, იმ ეპოქის, სადაც რუსული ენა ყველაზე მეტად ფასობდა!

ნურც იმაში დაადანაშაულებთ ამ ადამიანებს, რომ ვირუსთან დაკავშირებულ წესებს არ იცავენ, წესს არავინ გადაუხვევს, თუ სათანადოდ ავუხსნით, გასაგებ ენაზე მივაწოდებთ ინფორმაციას. საინფორმაციო ველის პრობლემა რომ არსებობს, ამას ყველა ვხედავთ. თუმცა, ამისთვის არაფერს ვაკეთებთ. რადგან დისკრიმინაცია საზოგადოებრივი წიაღიდან წამოიშვა, ამიტომ საზოგადოებას მივმართავ, რომ ჩვენ მეტი უნდა გავაკეთოთ მათი ინფორმირების თვალსაზრისით, ჩვენ უნდა გავაფართოვოთ საინფორმაციო ველი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ნაცვლად მათი დადანაშაულებისა!

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი